გამარჯობა, მოსკოვო!

• ხვალ მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნება „საქართველოს დღეები"

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 131 (13823) | ოთხშაბათი, 7 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი მეგობრობა იზრდება და მტკიცდება

„კომუნისტის" მკითხველებს ესაუბრება მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ვლადიმერ პრომისლოვი

◆

ჩვენს ქვეყანაში ყველგან დღითიდღე ფართოვდება საბჭოთა ადამიანების მძლავრი პატრიოტული მოძრაობა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის დიდი და სახელოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის. და ამ მშვიდობიან შემოქმედებითს ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, წინა ხაზებზე არიან მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების მშრომელები, სახელოვანი გმირი ქალაქის, საბჭოების ქვეყნის გულის — მოსკოვის მშრომელები.

ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები, მხვნელ-მთესველები და მებამბეები, მევენახეები და მეჩაიეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები — ყველა საბჭოთა ადამიანი გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით თავისი წვლილი შეიტანოს საიუბილეო წლის გეგმის შესრულებაში, შრომაში ახალი წარმატებებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის იუბილეს.

ჩვენი გეგმების შესრულებისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის აყვავებისათვის ბრძოლაში ყველა საბჭოთა ადამიანს აერთიანებს დიდი და ურღვევი მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა ყველა საბჭოთა ადამიანის მეგობრობისა და ძმობის ქვაკუთხედია. მისი კეთილმყოფელი შედეგები ახალი ძალით იჩენს თავს დღეს, როცა ყველგან ჩვენს ქვეყანაში იმართება საბჭოების ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის დღესასწაული.

ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოველთა წარგზავნილები დაბრუნდნენ მზიური საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან, სადაც მოეწყო მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები.

ეს იყო საბჭოთა დედაქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენციის თავისებური ანგარიში თბილისის მშრომელთა წინაშე. ქარხნებსა და ფაბრიკებში, საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა ცხადყვეს თავიანთი მაღალი ოსტატობა, უჩვენეს თავიანთი სასიხარულო და სიცოცხლის დამამკვიდრებელი ხელოვნება. და მოსკოველებს თბილისელები ყველგან დიდი გულთბილობითა და გულითადობით ხვდებოდნენ. ეს იყო რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობისა და ძმობის მართლაც დიდი დღესასწაული.

საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის მკაფიო დადასტურებაა მოკავშირე რესპუბლიკათა დღეები, რომლებიც მოსკოვში საიუბილეო წელს იმართება. ჩვენს ქალაქში ეს-ეს არის დამთავრდა სომხეთის სს რესპუბლიკის დღეები, ახლა კი, ესტაფეტას იღებს მზიური საქართველო.

მოსკოველები დიდი სიხარულით იღებენ თავისთან საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებს, ჩვენს გუშინდელ სტუმართმოყვარე მასპინძლებს, და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ იმათაც იგრძნონ რუსული გულის სიუხვე და სითბო.

ამ დღეებში მოსკოველთა წინაშე გამოვლენ მსახიობები და მომღერლები, კომპოზიტორები და ინსტრუმენტალისტები, მოცეკვავეები და ესტრადის ოსტატები. მოსკოვის თეატრებში, პარკებში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში მოეწყობა ქართველი ხალხის წარმომადგენელთა შეხვედრები მოსკოველებთან. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ თვითეული ეს შეხვედრა ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის უაღრესად მკაფიო გამოვლინება იქნება. ამასთან დაკავშირებით როგორ არ გავიხსენოთ სახელები რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების — პუშკინისა და ბარათაშვილისა, გრიბოედოვისა და ა. ჭავჭავაძისა, ლერმონტოვისა და ა. წერეთლისა, ბელინსკისა და ი. ჭავჭავაძისა და მრავალთა სხვათა, რომლებმაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს ჩვენს მეგობრობას.

ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, მკაცრი გამოცდა გაიარა დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ბრძოლის ველებზე თავიანთი სამშობლოს ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები და ქართველები, სომხები და ლატვიელები, უკრაინელები და ყაზახები — ყველა მოძმე ხალხები.

საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობა ჩვენს დროშიც, პოპულარულ სიმღერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელს უწყობს შენებასაც და ცხოვრებასაც".

დიდი მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან მოსკოვსა და საქართველოს. ეს მეგობრობა მდინარე მოსკოვის გრანიტის ნაპირებიდან უხილავად სწვდება შავი ზღვის გაცისკროვნებულ ნაპირებს, მაგრამ ხილულ და ფრიად საგრძნობ ნაყოფს იძლევა.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ჩვენი ქალაქების მეგობრობის მრავალი მაგალითი. მაგრამ მოდით დავჯერდეთ ამას და შევასრულოთ საბჭოთა ადამიანების კარგი ტრადიცია: ნაკლებ ვილაპარაკოთ და მეტი ვაკეთოთ ჩვენი ხალხების შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის, მოსკოველთა და თბილისელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ჩვენ ვიცით, რომ თბილისი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ვახტზე დადგა. მოსკოველები სულით და გულით უსურვებენ თბილისელებს, რომ მათი საჩუქარი საბჭოების ქვეყნისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ღირსეული წვლილი იყოს კომუნიზმის მშენებლობის ჩვენს საერთო საქმეში.

აქტიურად, მხურვალედ, მოსკოვურად ჩაებნენ საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში დედაქალაქის მშრომელები.

მოსკოველებმა სამშობლოს სიტყვა მისცეს, რომ საიუბილეო წელს წარმოების მოცულობის და შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებას გადაჭარბებით — ერთნახევარჯერ შეასრულებენ. ეს საგრძნობი წვლილია საერთო სახალხო ყულაბაში, თუ გავითვალისწინებთ მოცულობას მოსკოვის მრეწველობისას, რომელიც დღეს იძლევა 3,5-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე მეფის რუსეთის მთელი მრეწველობა იძლეოდა.

დედაქალაქის საწარმოთა კონვეიერებიდან ჩამოვა 630 უფრო სრულყოფილი მანქანა, ხელსაწყო და მასალა და მათ შორის მოსკოველ ავტომობილმშენებელთა სიამაყე — მაღალი გავლადობის სატვირთო ავტომობილი „ზილ-131". 270-მდე სახეობის სხვადასხვა პროდუქცია აყვანილ იქნება საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების დონემდე.

ბევრი რამის გაკეთებაა აგრეთვე დასახული მოსკოველთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ქალაქის რეკონსტრუქციისა და განახლებისათვის.

საიუბილეო წელს მოსკოველები მიიღებენ კიდევ 120 ათასზე მეტ ახალ ბინას, 32 სასკოლო შენობას, საბავშვო ბაღებსა და ბაგებს 28 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოებს, რომლებშიც იქნება 2250 საწოლი. 25 პოლიკლინიკას, 10 კინოთეატრს, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 375 საწარმოს და 250 კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოს.

ჩვენს ქალაქში არის განსაკუთრებული — საიუბილეო მშენებლობანი, რომლებსაც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ეს არის, უწინარეს ყოვლისა, კალინინის პროსპექტი.

მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი მშენებლობაა ახალი სრულიად საკავშირო სატელევიზიო ცენტრი ოსტანკინოში 533 მეტრი სიმაღლის ტელეკოშკით. ეს ჭეშმარიტად უნიკალური ნაგებობაა. ახალი ტელეცენტრის სტუდიების კომპლექსი, რომელიც მწყობრში ჩადგება ოქტომბრის 50 წლისთავისათვის, გადასცემს შავ-თეთრი ტელევიზიის ოთხ პროგრამას, ხოლო მომავალი წლიდან ფერადი ტელევიზიის კიდევ ერთ პროგრამას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი გრანდიოზული ნაგებობა, რომელიც მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ ოქტომბრის დღესასწაულისათვის. მხედველობაში მაქვს ევროპაში უდიდესი სასტუმრო „როსია", რომლის პირველი რიგი უკვე წლის დამდეგიდან ემსახურება დედაქალაქის სტუმრებს. „როსია" ნამდვილი სასახლეა რუსული სტუმართმოყვარეობისა. მას აქვს 3182 ნომერი 6 ათასი ადგილით, რესტორნები და კაფეები 4250 ადგილით, ორდარბაზიანი კინოთეატრი 1,5 ათასი ადგილით, საკონცერტო დარბაზი 3 ათასი ადგილით და... საცურაო აუზიც კი.

აი მოსკოველთა ზოგიერთი გეგმა საიუბილეო წლისათვის, რომელთა შესახებაც მინდოდა მეამბნა ჩვენი მეგობარი თბილისელებისათვის და განსაკუთრებით გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებისათვის.

გასული წლის დამლევს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცეს მოსკოვის განვითარების გენერალური გეგმის ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები.

ახალი გენერალური გეგმა, რომლის მიმდინარე წელს შემუშავება იკისრეს მოსკოველებმა, საბჭოთა დედაქალაქის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა იქნება.

ასე ცხოვრობს, ფიქრობს და მუშაობს დღევანდელი მოსკოვი.

ცხოვრობს, ფიქრობს და შრომობს მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქები, ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ქალაქისა და სოფლის მხარდამხარ. მათთან ერთად იგი კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით მიდის წინ — მშვენიერი და ნათელი მომავლისაკენ.

სტუმართმოყვრულად, რუსული პურ-მარილით ეგებება მოსკოვი თავის ქართველ მეგობრებს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

6 მაისს ბერლინში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას შორის სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ. სურათზე: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვერნერ ჰარტკე (მარჯვნივ) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი ხელს აწერენ შეთანხმებას.

ფოტო ადნ-საქდესისა.

პირველი შეხვედრები

მოსკოვში ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი

მოსკოვი, 6 ივნისი. (საქდესის სპეც კორ.). გულითადად შეხვდნენ დღეს მოსკოველები საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს.

ვნუკოვოს აეროდრომზე საქართველოდან ჩამოსული სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები — საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიის მოსკოვის რაიკომების წარმომადგენლები.

ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს შეხვდა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, რომელიც ადრე ჩამოვიდა მოსკოვში.

როგორც კი ქართველი სტუმრები თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ, მათ გულთბილად მიესალმნენ მოსკოველები, რომლებმაც ყვავილები მიართვეს სტუმრებს.

აქვე, აეროდრომზე, გაიმართა რუსი და ქართველი ხალხების, რუსული და ქართული კულტურების მეგობრობისა და ძმობის მიტინგი.

მიტინგი გახსნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. პოპოვმა, რომელმაც გულითადად მიულოცა ქართველ სტუმრებს კულტურისა და ხელოვნების დღეების დაწყება და გამოთქვა რწმენა, რომ ეს დღეები ხელს შეუწყობენ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურებენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

სიტყვა ეძლევა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. სიზოვს. მან თქვა:

— ამ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა გრანდიოზული წარმატებებით ეგებება თავის ნახევარი საუკუნის იუბილეს, განსაკუთრებით სასიამოვნოა უფრო ახლოს გავეცნოთ ქართულ კულტურას, ხელოვნებას, რომლებიც უმაღლითოდ აყვავდნენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ.

მოსკოვი. კუტუზოვის პროსპექტი.

ფოტო ბ. იაროსლავცევისა.

პრეს-კონფერენცია ჩვენს წარმომადგენლობაში

მუდმივ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა ქართული კულტურისა და ხელოვნების დღეების დელეგაციის წევრთა პრეს-კონფერენცია მოსკოვის, საქართველოს ჟურნალისტებისა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ, რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებზე მოსკოვში საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეების შესახებ.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი

6 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში მუჰამედ მ. ღალებ.

ა. ნ. კოსიგინსა და მ. ღალებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს ურთიერთსაინტერესო საკითხები. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს კოლექტივების რესპუბლიკური შეჯიბრების მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებლად დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორი გარდამავალი წითელი დროშა და ორი პირველი ფულადი პრემია, სამი მეორე და ოთხი მესამე ფულადი პრემიები.

რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები ყოველ კვარტალში უნდა შეაჯამოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად. საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჯილდოებს ანიჭებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი გადაწყვეტილებით. (საქდესი).

გარდამავალი წითელი დროშები სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს კოლექტივებისათვის

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აქტივობის შემდგომი გადიდებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს მოაწყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური შეჯიბრება.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები, ორი მეორე და ორი მესამე ფულადი პრემიები.

ჯილდოებს ყოველ კვარტალში ანიჭებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. (საქდესი).

საიუბილეო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტში

5 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის ხალხთა IV საზაფხულო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა. სპარტაკიადა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება.

საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა ისეთი საკითხები, როგორიც არის აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადების მოწყობა, რამდენად მზად არის მოსკოვისა და ლენინგრადის სასპორტო ნაგებობანი ფინალური შეჯიბრებების გასამართავად, აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნის დღესასწაულისა და ფინალური გამოსვლების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი.

სხდომა მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ტ. მაზუროვის თავმჯდომარეობით. (საქდესი).

სარესპუბლიკათშორისო თათბირი სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე

6 ივნისს თბილისის ტექნიკის სახლში გაიხსნა სამი დღის სარესპუბლიკათაშორისო გაერთიანებული თათბირი საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკების სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებზე. თათბირი ეძღვნება ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მეცნიერთა რეკომენდაციების, კონსტრუქტორთა მიღწევების, სოფლის ხელმარჯვეთა საყურადღებო წინადადებების და ნამუშევრების ფართოდ დანერგვა, სოფლის მეურნეობაში საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ზ. გელდიაშვილმა.**

მოხსენება „ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" გააკეთა საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ცენტრალური სექციის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **ა. კარდაპოლცევმა.**

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების, პროპაგანდისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების მთავარი სამმართველოს უფროსმა **გ. ბადრიშვილმა,** მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **ნ. ფეტისოვმა,** აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა **ნ. ქასანტოპულომ,** სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა **გ. შეხიანმა,** რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ახალი ტექნიკისა და სამუშაოთა მექანიზაციის სამმართველოს უფროსმა **ვ. უაზახაშვილმა,** რესპუბლიკური გაერთიანება „მოლდოვსოფლტექნიკის" ახალი ტექნიკის სამმართველოს უფროსმა **ს. შევჩენკომ,** რესპუბლიკური გაერთიანება „აზსოფლტექნიკის" ახალი ტექნიკის სამმართველოს უფროსმა **მ. სიმხოვიჩმა,** რესპუბლიკური გაერთიანება „სომხსოფლტექნიკის" ახალი ტექნიკის სამმართველოს უფროსმა **მ. დონდაროვმა,** საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **ა. გაბუნიამ,** სომხეთის სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **რ. შაგოიანმა,** გაერთიანება **„საქსოფლტექნიკის"** ახალი ტექნიკის შეკვეთებისა და დანერგვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ **გ. ფუდიმამ,** სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაციონალიზაციისა და გამოგონებათა ბიუროს უფროსმა **ლ. სრკოლოვმა.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ჭანუყვაძე. (საქდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ვ. ჭელიძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის ამხ. ვახტანგ ვასილის-ძე ჭელიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ზ. უზნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული მომარაგების რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. იოსებ ზაქარიას-ძე უზნაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

სარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1967 წლის 5 ივნისისათვის

ტონობით

	მაის-ივნისის გეგმა	დამზადებულია	შესრულების პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	17180	11482	66,5
გალის	9137	6143	67,2
ოჩამჩირის	5638	3830	67,9
გუდაუთის	1684	894	53,1
გულრიფშის	570	456	80,0
სოხუმის	151	109	72,2
აჭარის ასსრ	16590	10887	65,6
ქობულეთის	12016	7241	60,3
ბათუმის	4345	3515	80,9
ქედის	229	131	57,2
მახარაძის	19440	11001	56,6
ზუგდიდის	13150	7857	59,7
წალენჯიხის	6180	3755	60,8
ლანჩხუთის	5450	3707	68,0
გეგეჭკორის	4770	3236	67,8
ჩხოროწყუს	4310	2912	67,6
ჩოხატაურის	2950	1778	60,3
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2235	1702	76,2
წყალტუბოს	2244	2146	95,6
წულუკიძის	2194	1661	75,7
ცხაკაიას	2073	1669	80,5
ხობის	1885	1384	73,4
სამტრედიის	648	433	66,8
აბაშის	240	211	87,9
თერჯოლის	194	256	132,0
ფოთის საქალაქო საბჭო	168	117	69,6
ვანის	76	56	73,7
ზესტაფონის	23	34	147,8
სულ	102000	66234	64,9
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	19023	11600	61,0
იყო 1966 წლის 5 ივნისისათვის	97500	101952	104,6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატ. სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა

სპარტაკიადის წარმატების საწინდარია

საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას უნდა ჰქონდეს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი, უნდა ემყარებოდეს ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც თანმიმდევრულად მოიცავს მოსახლეობის ყველა ჯგუფს, ბავშვთა ასაკიდან მოყოლებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილებიდან.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრება

საქართველოს კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის ამასწინანდელმა კრებამ განიხილა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების, სსრ კავშირის ხალხთა წლევანდელი საზაფხულო IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის წარმატებით მომზადების ამოცანები.

მოხსენება „როგორ ასრულებენ საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და როგორ მოემზადა საქართველოს სპორტული დელეგაცია სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის" გააკეთა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. სიხარულიძემ.**

მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება, თქვა მომხსენებელმა, ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — დიდი ოქტომბრის ნახევარი საუკუნის იუბილესათვის. ყველგან, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. ამ დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა აწყობს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადას.

სპარტაკიადა მარტო წლევანდელი სპორტული სეზონის მთავარი მოვლენა როდი იქნება. ეს იქნება ანგარიში, თუ რა მუშაობა შესრულდა პარტიისა და მთავრობის იმ მითითებათა განსახორციელებლად, რომ განვამტკიცებინა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობა, აღვეზარდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც მზად იქნება შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის. ამიტომაა, რომ სპარტაკიადისათვის მზადებას, მის პირველ ეტაპებს, რომლებიც ფიზიკური კულტურის კოლექტივებმა გაშალეს რაიონებსა და ქალაქებში, უმაგალითო მასობრივი გაქანება მიეცა.

ხალხის ჯანმრთელობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". ეს დოკუმენტი განსაზღვრავს გზებს, რომლებითაც უნდა ვითარდებოდეს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მოძრაობა, სახავს ახალ სერიოზულ ამოცანებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აგრეთვე მიიღეს დადგენილება, რომელშიც მეტად მკაფიოდ დასახულია საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის გზები.

დღეს ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკის იმ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვი, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში, საწარმოო ტანვარჯიშსა და ჯანმრთელობის ჯგუფებში, მილიონს გადააჭარბა, მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სულ 300-ოდე კაცი მისდევდა სპორტს.

საქართველოს სპორტსმენები ბევრი რეკორდის ავტორები არიან. მარტო შარშან მათ 120 სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს, რესპუბლიკის 60-ზე მეტი საუკეთესო სპორტსმენი ახლა შედის ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. ქართველ სპორტსმენებს ბევრჯერ გაუმარჯვიათ დიდ საერთაშორისო ტურნირებში — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე სრულიად საკავშირო შეჯიბრებებში. მარტო შარშან მათ მოიპოვეს 119 მედალი, აქედან 26 — ოქროს, 63 — ვერცხლის და 30 — ბრინჯაოს მედალი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას, ალექსანდრა ჯანუყაშვილისა და რომა ბერიკაშვილის, ალექსანდრე მეტრეველისა და ომარ ფხაკაძის, ზურაბ საკანდელიძისა და გურამ სალარიძის, რომან რურუასა და ანზორ კიკნაძის, მერაბ ხურცილავასა და სლავა მეტრეველის, ავერი მანტკავასა და ჯემშერ ხომებაევის, ალექსანდრე ტუტაკაევისა და ბორის პოლულახის, იური დიაჩკოვისა და ლუდმილა იველევას, ნუგზარ ასათიანისა და გურამ კოსტავას და სხვების ბრწყინვალე მიღწევები.

ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ ასპარეზობაზე უკეთ გამოვიდნენ, ვიდრე ბევრი ისეთი კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლები, როგორიც არის ავსტრია, თურქეთი, კანადა, ბელგია, მექსიკა, არგენტინა, ესპანეთი, ირანი და სხვები. ყოველწლიურად ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი საზღვარგარეთული გუნდი ჩამოდის სხვადასხვა სახეობის სპორტში მონაწილეობის მისაღებად. მარტო შარშან ქართველმა სპორტსმენებმა მიიღეს საზღვარგარეთის 39 დელეგაცია. ჩვენთან სტუმრად იყვნენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, კუბის, ირანის, დანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, კანადის, ინგლისის, თურქეთის, ჰოლანდიის, იაპონიის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ქართველი სპორტსმენები წარმატებით იცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას საერთაშორისო შეჯიბრებებში და როგორც წესი, მაღალ ოსტატობას ავლენენ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭო შვიდი წლის განმავლობაში ზედიზედ აჯილდოებდა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით. გარდამავალი წითელი დროშები და საპატიო სიგელები კარგი მაჩვენებლებისათვის არაერთგზის დაიმსახურეს კავშირის თბილისის, ქუთაისის საქალაქო საბჭოებმა. აგრეთვე ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა „კოლმეურნემ", „დინამომ", „ქარიშხალმა", „განთიადმა", „სპარტაკმა", „შრომითმა რეზერვებმა".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს დაუსახა კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულება უპირველესი და გადაუდებელი საქმეა.

მომხსენებელი შეეხო რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას და აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა. მოზრდილ სპორტსმენთა მიღწევები კი უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აქვთ საქმე მოსწავლეებს. დიდი ძვრების მიუხედავად ჯერ კიდევ სასურველ დონეზე არ არის ფიზიკური აღზრდის საქმე რესპუბლიკის სკოლებში. მაგალითად, მეტად ნელა წყდება სოფლის რვაწლიან სკოლებში ფიზიკური კულტურის მასწავლებლის თანამდებობის შემოღების საკითხი. უკეთ როდია სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენის საქმე. საკმაო ღონისძიებანი არ ხორციელდება იმისათვის, რომ 2-3 წლის განმავლობაში ყველა სკოლაში შეიქმნას უმარტივესი სპორტული ბაზები და მოედნები, რომ აღარაფერი ვთქვათ სპორტულ დარბაზებსა და მძლეოსნობის მოედნებზე, რომლებიც ფიზიკური აღზრდის პროგრამის შესრულების პირობებს შექმნიან. ამ მხრივ ასე თუ ისე კარგი მდგომარეობაა სიღნაღის, გეგეჭკორის, ვანის, წულუკიძისა და სამტრედიის რაიონებში. აქ სასკოლო სპორტულ ნაგებობათა და მოედანთა მშენებლობას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ, რაც არ შეიძლება ითქვას ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქზე.

უმაღლესი სასწავლებლები სპორტსმენთა ერთ-ერთი ძირითადი სამჭედლოა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომ განვითარებას უმაღლეს სასწავლებლებში. დასახულია დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი და უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს გარკვეული მუშაობაც შესრულდა. მაგრამ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სტუდენტთა გამაჯანსაღებელი ბანაკების მშენებლობას, სტუდენტთა და ასპირანტთა სპორტული ოსტატობის ასამაღლებელი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

დამაკმაყოფილებელი არ არის სასწავლო პროცესისათვის საჭირო სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის მდგომარეობა, რაც უარყოფითად გავლენას ახდენს სტუდენტთა საერთო ფიზიკურ მომზადებაზე.

სკოლები, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით რომ უზრუნველვყოთ დასახულია მნიშვნელოვნად გაზარდოს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მიღების კონტინგენტი, აგრეთვე სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში გაიხსნას ფიზიკური აღზრდის ჯგუფები. ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან გაიხსნას მუდმივმოქმედი კურსები.

დიდი ყურადღება ეთმობა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აღმავლობას. დასახულია გაიხსნას ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლები. სოფლის ახალგაზრდობა არის საკუთარი ძალებით სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის ინიციატორი. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს მახარაძის, გურჯაანის, გარდაბნის, ვანის, ბათუმის, საგარეჯოს, ხაშურისა და სხვა რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. ამასთანავე არის ფაქტები, როცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელი უგულვებელყოფს ახალგაზრდობისა და ფიზკულტურელთა საჭიროებას. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოში" ჩაშლილია ფიზკულტურული მუშაობა, ხოლო მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ სტადიონის ტერიტორიაზე კანტორა აიშენა და ახალგაზრდობას წაართვა ერთადერთი სპორტული ბაზა.

როგორც ვიცით, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ძირითადი რგოლია ფიზიკური კულტურის კოლექტივი. საუკეთესო კოლექტივებმა მოიპოვეს მათთვის სპორტული კლუბების წოდებების მინიჭების უფლება. ეს კლუბებია „გამარჯვება" (თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა), „ფეიქარი" (თბილისის სართავ-საქსოვი კომბინატი), „კოლხეთი" (ქუთაისის ავტოქარხანა), „ლელო" (დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი) და სხვ.

ბევრი ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობის, დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლისა და სკოლის ათეულ ათასობით მუშამ და მოსამსახურემ, მოსწავლე ახალგაზრდობამ საწარმოო ტანვარჯიში შეიტანეს თავიანთ დღის რეჟიმში. მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ საწარმოო ტანვარჯიში დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და გუნება-განწყობილებაზე, ზრდის შრომის ნაყოფიერებასა და მნიშვნელოვნად ამცირებს ავადმყოფობის შემთხვევებს. საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ საწარმოო ტანვარჯიში დაინერგოს ყველგან.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა სპორტული ბაზები. აქ სამართლიანად შეგვიძლია პრეტენზიები წავუყენოთ ჩვენს ქალაქთმშენებლებს, დამპროექტებლებსა და არქიტექტორებს, რომლებსაც ხშირად მხედველობიდან რჩებათ სპორტული მოედნების, დარბაზების, საცურაო აუზებისა და ბავშვთა სპორტული უბნების აგება.

რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა სანიმუშოდ მოეწყოს საქართველოს სპარტაკიადის ფინალური ნაწილი და წარმატებით მოემზადოს სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო, IV სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის. რესპუბლიკური სპარტაკიადის საქალაქო და რაიონული ეტაპები მოწმობენ, რომ ახლანდელმა შეჯიბრებებმა თავისი მასშტაბით გადააჭარბეს წინა შეჯიბრებებს, მაგრამ ყველა რაიონში სპარტაკიადები როდი გადაქცეულა სპორტულ დღესასწაულად. ლაგოდეხის, ბოლნისის, ქარელის, ხობის, მაიაკოვსკისა და ზოგიერთ სხვა რაიონში შეჯიბრება მიმდინარეობდა დაბალ დონეზე და ვერ მიიპყრო ახალგაზრდობის ყურადღება, მაშასადამე მათ ვერ შეასრულეს თავიანთი მთავარი ამოცანა. გასაკვირი არ არის, რომ ტექნიკური შედეგები სპორტულ სახეობებში ძალიან დაბალი იყო.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა ზოგიერთი სახეობის სპორტის მდგომარეობას, მაგალითად, როგორიცაა მძლეოსნობა, ტანვარჯიში და ცურვა.

მძლეოსნობის ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად ორატორი მიიჩნია ისეთი ტრადიციული ღონისძიებების მივიწყება, როგორიცაა კროსი. რესპუბლიკაში წლითიწლობით ცუდად იწყობა საგაზაფხულო კროსი გაზეთ „პრავდის" პრიზზე. ამ შეჯიბრებებში რეგულარულად არ მონაწილეობენ აჭარის, ქუთაისის, ბორჯომის, ახალქალაქის, ყვარლის წარმომადგენლები, ხოლო ზოგიერთი სპორტსმენი ავლენს მეტად დაბალ შედეგებს. ამის შედეგად საქართველოს გუნდს უკანასკნელი ადგილები უკავია სრულიად საკავშირო ფინალურ კროსებში, ხოლო ნაკრები გუნდები ვერ იღებენ საშუალო და გრძელ დისტანციებზე მორბენალთა შევსებას. თანამედროვე მძლეოსნობაში მიღწევათა დონე იმდენად მაღალია, რომ მწვრთნელებისაგან მოითხოვს სპეციალურ მომზადებასა და დიდ ცოდნას. ამ მიზნით რამდენიმე წლის წინათ შემოღებულ იქნა მწვრთნელთა სპეციალიზაცია მძლეოსნობის სახეობათა მიხედვით. ამ ღონისძიებამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

ამ ბოლო დროს რამდენადმე გაუმჯობესდა ჩვენი ტანმოვარჯიშეების მაჩვენებლები. სამი ქართველი სპორტსმენი ქალი შეყვანილია ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის ძირითად შემადგენლობაში, ათი კი ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ამას წინათ დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალი. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი რიგი გუნდების სპორტსმენებმა ვერ გამოავლინეს ოსტატობა. ეს პირველ რიგში შეეხება აფხაზეთისა და აჭარის ტანმოვარჯიშეებს. მაგალითად, ღერძზე აჭარელ სპორტსმენთა მიერ მიღებული საშუალო ქულა უდრის 5,6-ს, ტაიჩზე — 5,0, ხოლო აფხაზ ტანმოვარჯიშეებს შესაბამისად აქვთ 5,25 და 4,5 ქულა. და ეს იმ დროს, როცა 9 ქულაც კი არ ითვლება მაღალ შეფასებად.

ვერ შევურიგდებით იმას, რომ საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის ძირითადი შემადგენლობის 90 პროცენტი დაკომპლექტებულია თბილისის წარმომადგენლებით და მხოლოდ ორი-სამი სპორტსმენი შედის სოხუმიდან და ბათუმიდან. ნაკრებ გუნდში არ არიან აგრეთვე „ქარიშხალის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" წარმომადგენლები.

სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში შედის ფიზკულტურის კოლექტივების გუნდების შედეგები ხუთი სახეობის სპორტში. სპორტსმენების მოსამზადებლად სერიოზულად იმუშავეს პროფკავშირულმა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა „განთიადმა", „სპარტაკმა", „ლოკომოტივმა". მაგრამ დიდი და პასუხსაგები მუშაობა მოგვლის სპარტაკიადის მონაწილეთა მოსამზადებლად, რათა მათ სასახელოდ დაიცვან რესპუბლიკის ღირსება.

გ. სიხარულიძემ თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლების საკითხებს. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმოო კოლექტივი, სადაც ბრიგადები ძირითადად სპორტსმენებისაგან შედგება. ეს არის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხანა და ბევრი სხვა. ჩვენი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების დიდი უმრავლესობა სამაგალითოა როგორც მუშაობაში, ისე სწავლასა და ყოფაცხოვრებაში.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვაწყდებით ცალკეულ ფაქტებს, როცა სპორტსმენები, ზოგჯერ კი მწვრთნელებიც უხეშად არღვევენ ქცევის ნორმებს, როგორც ყოფაცხოვრებაში, ისე შეჯიბრების დროს. სპორტული და საყოფაცხოვრებო რეჟიმის დარღვევისათვის, გუნდის ხელმძღვანელობის უგულებელყოფისათვის ახლახან საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დისკვალიფიკაცია მიეცათ, გუნდიდან გაირიცხნენ და სპორტის ოსტატის წოდებანი ჩამოერთვათ თბილისის „დინამოს" წყალბურთელებს მიმინოშვილსა და ოჩიგავას. ამ გუნდის დანარჩენ წევრებს სხვადასხვა სასჯელი დაედოთ. სპორტული რეჟიმის დარღვევისათვის ახლახან განთავისუფლებულია ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი მუსხელიშვილი.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საკითხებს. ამ გულმოდგინე და პასუხსაგებ მუშაობაში იმედი გვაქვს პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს დახმარებისა. მაგრამ, ჩვენში კვლავინდებურად ქვეყნდება ცოტა მასალები ამ თემებზე, თითქმის მთლიანად იფარგლებიან ასპარეზობათა შესახებ ანგარიშების გამოქვეყნებით. სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენს ჟურნალისტებს მიებაძათ გაზეთების „პრავდისა" და „იზვესტიისათვის".

„ოლიმპიური ასპარეზობა ერთი ქვეყნის მასშტაბით" ასე უწოდებენ უცხოელი ჟურნალისტები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებს. მართლაც, სპარტაკიადები თავისებური სპორტული უნივერსიტეტი, მასობრიობისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა სპორტის ოსტატობის დათვალიერებაა.

სსრ კავშირის ხალხთა სამივე წინა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ დაიკავა მეხუთე საპრიზო ადგილი და მიენიჭა საპატიო პრიზი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი თასი. ახლა ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმატებით მოვემზადოთ საბჭოთა სპორტის ახალი გრანდიოზული დათვალიერებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა. საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია და გვიწევს ყოველდღიურ დახმარებას. ჯერ კიდევ 1966 წლის იანვარში დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდები ყველა სახეობის სპორტში. ისინი ინტენსიურად ემზადებიან შეჯიბრებისათვის და ყოველ ღონეს იხმარენ, რომ პირნათლად ჩააბარონ მომავალი სერიოზული გამოცდა.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

საკითხი, რომელსაც კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივი იხილავს, განსაკუთრებით აქტუალურია თბილისისათვის, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა **ე. სალუქვაძემ.** თბილისელი სპორტსმენები მუდამ საქართველოს ნაკრები გუნდების ძირითადი ბირთვი იყო. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს სპორტსმენთა დელეგაციის 400 წევრიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში, 340 თბილისელი იყო. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ არითმეტიკული ციფრი კი არა, არამედ იმ დიდი მუშაობის შედეგია, რომელსაც სპორტული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები ეწევიან პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით. ეს არის მწვრთნელთა და თვით სპორტსმენთა გულმოდგინე მუშაობის შედეგი.

ახლახან დამთავრდა თბილისის საიუბილეო სპარტაკიადა. სპარტაკიადაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფიზკულტურელთა 130 ათასიანი არმიის 1848 სპორტსმენი. წინა სპარტაკიადებთან შედარებით მნიშვნელოვნად ამაღლდა სპორტსმენთა ოსტატობის დონე. მაგრამ სპარტაკიადამ გამოავლინა აგრეთვე ზოგიერთი ნაკლი. ამხ. სალუქვაძე დაწვრილებით შეეხო იმას, თუ როგორ მიმდინარეობს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში. მან თქვა, რომ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ეთმობა სერიოზული ყურადღება, დიდი მუშაობა წარმოებს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის გუნდის მოსამზადებლად. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სპორტსმენები ამ ასპარეზობაში გამოვლენ კარგად და მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს.

— საქართველო ყოველთვის იყო და იქნება მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მოჭიდავეთა სამჭედლო, — თქვა თავის გამოსვლაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა **გ. სალარაძემ.** — საჭიროა გავიხსენოთ ისეთი შესანიშნავი მოჭიდავეების სახელები, როგორიც იყვნენ გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, არსენ მეკოკიშვილი, დავით ციმაკურიძე, მირიან ცალქალამანიძე, როსტომ აბაშიძე, გიორგი სხირტლაძე და ბევრი სხვა, რომლებმაც ასახელეს ქართული სპორტი. ჩვენი სახელგანთქმული ვეტერანების გზით მიდის მოჭიდავეთა ახალგაზრდა თაობა. ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთათვის გასაგებია, რომ ისინი უნდა შეერკინონ ისეთ უძლიერეს გუნდებს, როგორიც არის რუსეთის სფსრ, უკრაინის, მოსკოვისა და ბელორუსიის კოლექტივები, სწორედ ამიტომ გაძლიერებით ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის.

გ. სალარაძემ თქვა, რომ აღსრულდა ქართველ მოჭიდავეთა სანუკვარი ოცნება: უახლოეს დროში ისინი მიიღებენ ახალ კეთილმოწყობილ საჭიდაო დარბაზს. რესპუბლიკის ყველა მოჭიდავის სახელით მან მხურვალე მადლობა გადაუხადა საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რესპუბლიკის მთავრობას ასეთი საჩუქრისათვის და აღუთქვა აქტივის კრების მონაწილეებს, რომ რესპუბლიკის მოჭიდავენი ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ღირსეულად გამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჯუსოევმა,** — სამხრეთ ოსეთის მშრომელები შრომითი აღმავლობით ეგებებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში არნახულად აყვავდა ოლქის ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა დიდი ყურადღება დაგვეთმო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. ამჟამად ოლქში არის ფიზკულტურის 254 კოლექტივი, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 28 ათასზე მეტ ფიზკულტურელს. ბოლო ათი წლის მანძილზე ოლქში მომზადდა 70-ზე მეტი ოსტატი სხვადასხვა სახეობის სპორტში. ბევრ მათგანს არაერთხელ დაუცავს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსება. ახლა ოლქში დიდი მუშაობა მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად. ფიზიკური კულტურის ყველა კოლექტივში მოეწყო სპარტაკიადები, რომელთა გამარჯვებულნი მონაწილეობდნენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადებში. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა განახორციელეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა შედეგად ბევრად გაფართოვდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი, გაიზარდა ოლქის სპორტსმენთა ოსტატობა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კოლექტივი რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გაცილებით უკეთ გამოვა, ვიდრე 1963 წელს.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **ე. გოკიელმა** თქვა, რომ რესპუბლიკის მძლეოსნები აქტიურად ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა სამივე წინა სპარტაკიადაზე საქართველოს მძლეოსნები ერთობ სუსტად გამოვიდნენ. ახლა უფლება გვაქვს მოვითხოვოთ უფრო მაღალი შედეგები, რადგან ბოლო ორი წლის მანძილზე გაუმჯობესდა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, მოპოვებულია მთელი რიგი გამარჯვებანი.

მაგრამ ეს წარმატებანი გვავალებს მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გუნდში ყველაზე სუსტი ადგილია რბენა 3.000, 5.000 და 10.000 მეტრზე, უროს ტყორცნა (ვაჟთა შორის), რბენა 400 და 800 მეტრზე, შუბის ტყორცნა (ქალთა შორის).

არ შეიძლება სინანულით არ გამოითქვას იმის გამო, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობის სპორტი — მძლეოსნობა, რომელიც 33 სხვადასხვა სახეობას შეიცავს, — ჩვენში ვერ განვითარდა ჯეროვნად, საჭირო მასობრიობას ვერ მიაღწია.

რესპუბლიკის ყველა სპორტსმენის სახელით ე. გოკიელმა მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებზე ზრუნვისათვის. მან აღუთქვა აქტივის კრების მონაწილეებს, რომ საქართველოს მძლეოსნები ახალ მიჯნებს მიაღწევენ, გაამართლებენ ხალხის ნდობას.

აფხაზეთში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე აქტივის კრების მონაწილეებს უამბო პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **მ. ხვარცკიამ.**

— დღეს, — თქვა მან, — მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა ოლქის სპორტული მუშაობის ყველა რგოლში. თუ ოთხი წლის წინათ აფხაზეთში იყო 62 ათასი ფიზკულტურელი, ახლა სპორტულ მოძრაობაში ჩაბმულია 74 ათასი კაცი და ფიზკულტურელთა რიგები განუხრელად იზრდება. ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მომზადდა 83 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი, 1.355 პირველთანრიგოსანი. ბევრი ჩვენი სპორტსმენის სახელი ცნობილია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ბევრი მათგანი საქართველოს სსრ ნაკრები გუნდების კანდიდატია.

ამას წინათ ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის რესპუბლიკის ტრადიციულ მძლეოსანთა მატჩში საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტი, ჩვენი ქვეყნის ნაკრები ოლიმპიური გუნდის წევრი ვიქტორ სანეევი სიგრძეზე გადახტა 7 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე, რითაც საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. სამხტომში მან აჩვენა შედეგი 16 მეტრი და 40 სანტიმეტრი, რითაც მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მაღალი წოდება.

შეგვეძლო კიდევ ჩამოგვეთვალა აფხაზეთის სპორტსმენთა მიღწევები, მაგრამ დღეს, როდესაც ვაჯამებთ აფხაზეთის ახლახან დამთავრებული სპარტაკიადის შედეგებს, მთავარია ვილაპარაკოთ არა წარმატებებზე, არამედ სადაც შევაფასოთ შესაძლებლობანი, გამოვავლინოთ სუსტი ადგილები, შევუქმნათ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს პირობები თბილისში პასუხსაგები გამოცდების ჩასაბარებლად — საქართველოს სსრ სპარტაკიადასა და მოსკოვში სსრ კავშირის IV საიუბილეო სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლისათვის.

ამხ. ხვარცკიამ ილაპარაკა, თუ რა მუშაობა წარმოებს აფხაზეთში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად, და აღუთქვა შეკრებილთ, რომ აფხაზეთის სპორტსმენები ხალხის ზრუნვას უპასუხებენ ახალი წარმატებებით.

— მინდა ჩემი გამოსვლა დავიწყო იმით, რომ მადლობა გადავუხადო პარტიასა და მთავრობას სპორტსმენებზე დაუღალავი ზრუნვისათვის, — თქვა სპორტის ოსტატმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ტანვარჯიშში ა. ჯანუყაშვილმა. 1967 წელი ღირსშესანიშნავია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. ეს არის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 საიუბილეო წლისთავის წელი.

წელს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოვლენა იქნება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა. რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებს ესმით შეჯიბრების მთელი მნიშვნელობა და გაორკეცებული ენერგიით ვარჯიშობენ. ქართველ ტანმოვარჯიშეთა რიგებს შეემატა ჩინებული შევსება. დიდი კმაყოფილების გრძნობით ვადევნებდით თვალს ტანმოვარჯიშეთა ამ დღეებში დამთავრებულ შეჯიბრებას რესპუბლიკის სპარტაკიადის პროგრამის მიხედვით. ყურადღებას იპყრობენ რუსიკო სიხარულიძე, ელენე კურგანოვა, გალინა ჯღარკავა, გურამ ლოლაძე, ამირან ნოზაძე, კოტე სარქისოვი და სხვები. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონმა თავისი საუკეთესო სპორტსმენები გამოიყვანა, მათი დიდი უმრავლესობა მკრთალად გამოიყურებოდა.

რა არის ამის მიზეზი? ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, უეჭველად, ტანმოვარჯიშეთა მომზადების მოძველებული მეთოდი, მაგალითად, მწვრთნელთა მუშაობას ჩვენში ძირითადად აფასებენ იმის მიხედვით, თუ რამდენი თანრიგოსანი მოამზადა, მაშინ როცა ამ მუშაობას უნდა აფასებდნენ სპორტსმენთა მომზადების ხარისხის მიხედვით. კლასის ტანმოვარჯიშეთა მომზადებაში მოწინავე მეთოდების გამოყენება — აი რა არის ახლა ამოცანა.

ტრიბუნაზეა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ლ. უკლება.** აჭარის პარტიული ორგანიზაცია, ამბობს იგი, ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ. რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს 1966 წლის 11 აგვისტოს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

ღონისძიებებმა, რომლებიც პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს, ხელი შეუწყო ახალგაზრდობის შემდგომ მასობრივ ჩაბმას სპორტში. ამჟამად აჭარაში არის ფიზკულტურის 498 კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 80 ათასზე მეტი კაცი. მარტო უკანასკნელი 7-8 თვის განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსმენთა რიგები შეივსო სამი ათასზე მეტი კაცით.

რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სასპორტო ბაზებისა და ნაგებობათა მშენებლობა. ამას წინათ ბათუმის სპორტსმენებმა მიიღეს ჩინებული 50 მეტრიანი საცურაო აუზი, აუზი 10 მეტრიანი წყალში სახტომი კოშკურით, 25 მეტრიანი აუზი, რომელშიც წყალი თბება, ბევრი საწვრთნელი და სასწავლო დარბაზი და მოედანი.

ამხ. უკლება პირობას აძლევს აქტივის კრების მონაწილეებს, რომ აჭარის ფიზკულტურელები და სპორტსმენები კვლავაც იბრძოლებენ მაღალი ოსტატობისათვის, განამტკიცებენ სპორტულ დისციპლინას, რათა რაც შეიძლება უკეთ მოემზადონ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში, თქვა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ქარიშხალის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ცქიტიშვილმა,** ახალი ამოცანები დაგვისახა. პარტიას მიაჩნია, რომ ფიზკულტურა და სპორტი ჯანსაღი და გამოწრთობილი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ითვალისწინებს რა დასახული ამოცანების მთელ მნიშვნელობას, საზოგადოება „ქარიშხალის" ხელმძღვანელობა დიდ ღონისძიებებს ახორციელებს სტუდენტთა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარებისათვის, მარტო 1966 წელს საზოგადოებამ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა რიგებს შემატა საერთაშორისო კლასის 4 ოსტატი, 59 სპორტის ოსტატი, 34 ოსტატობის კანდიდატი და 510 პირველთანრიგოსანი.

მაგრამ იმისათვის, რომ რაც შეიძლება წარმატებით განახორციელონ ახალგაზრდა თაობის აღზრდის ამოცანები, რესპუბლიკურმა საბჭომ და უმაღლესი სასწავლებლების სპორტულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა შეიქმნას უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული დაოსტატების გაერთიანებული განყოფილებანი (ჯგუფები) და სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები.

ამ მიმართულებით დიდი მუშაობა შესრულდა თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტების, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილია 19 სახეობის სპორტის გაერთიანებული განყოფილება, ფიზიკური აღზრდის კათედრებისათვის გამოყოფილია 29 საშტატო ერთეული.

მაგრამ აქ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ჯერჯერობით ყველა უმაღლესი სასწავლებელი როდი უთმობს ჯეროვან ყურადღებას სპორტს. ეს ხელს უშლის სტუდენტთა მასობრივ ჩაბმას ფიზკულტურით რეგულარულ მეცადინეობაში. დასასრულ ამხ. ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ქარიშხალას" რესპუბლიკური საბჭო ყოველ ღონეს იხმარს, რათა ღირსეულად შეასრულოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ტრიბუნაზეა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **რ. მეტრეველი.** იგი დაწვრილებით ლაპარაკობს მუშაობაზე, რომელსაც სისტემატურად ეწევიან კომკავშირული ორგანიზაციები ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

50 წლის მანძილზე, ამბობს იგი, ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობა უმაგალითოდ განვითარდა. საბჭოთა სპორტსმენებს სახელი დიდი ხანია გასცდა ჩვენს სამშობლოს საზღვრებს. ბევრი სახელოვანი სპორტსმენი მისცა საბჭოთა ქვეყანას ჩვენმა რესპუბლიკამ.

ამხ. მეტრეველმა თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს სპორტსმენთა იდეურ აღზრდაში. სპორტულ მიღწევებთან ერთად საჭიროა ჩვენს სპორტსმენებს ახასიათებდეს კარგი ყოფაქცევა. ახალგაზრდობას უყვარს სპორტი, ბაძავს თავის საყვარელ სპორტსმენებს. და როგორ უნდა გამოიყურებოდეს საუკეთესო სპორტსმენი, თუ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში არ იცავს ელემენტარულ ნორმებს? რა შეუძლია ისწავლოს, რაში უნდა მიბაძოს ასეთ სპორტსმენს ქალიშვილმა ან ჭაბუკმა?

შეიძლება აქტივის კრებაზე არ იყო საჭირო ლაპარაკი იმ სპორტსმენებზე, რომლებიც გაუყუჩდნენ, საბჭოთა სპორტსმენისათვის უღირს საქციელს სჩადიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს პრაქტიკაში.

ამხ. მეტრეველმა დამსწრეთ უამბო, როგორ არის დაყენებული სპორტული მუშაობა რესპუბლიკის სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში. მან ილაპარაკა კომკავშირული ორგანიზაციების როლზე კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სპორტული ოსტატობის ამაღლებაში.

ახლოვდება ჩვენი სპორტსმენებისათვის პასუხსაგები გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეიძლება უკეთ მოამზადონ ჩვენი ახალგაზრდობა მიმდინარე წლის ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისათვის, ძალისა და ოსტატობის დათვალიერებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი** თავის გამოსვლაში შეეხო მოსწავლეთა ფიზკულტურული აღზრდის საკითხებს. პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია, თქვა მან, აღვზარდოთ პატარაობიდანვე ფიზიკურად ღონიერი ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ჰარმონიულად ექნება განვითარებული ფიზიკური და სულიერი ძალები. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ახლა პირველ პლანზეა წამოწეული ბავშვებთან ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ამოცანა.

ბავშვთა სპორტის განვითარებისადმი ყურადღების გაძლიერება გამოწვეულია, ჯერ ერთი, იმით, რომ მოსწავლეთა სპორტულმა მაჩვენებლებმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის მაჩვენებლებზე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, და, მეორე, იმით, რომ სწორედ მოსწავლეებმა უნდა შეცვალონ ახლო მომავალში სპორტის ოსტატები, მათზეა დამოკიდებული ჩვენი სპორტის მომავალი.

ამხ. ლაშქარაშვილი დაწვრილებით ლაპარაკობს სასკოლო ფიზკულტურული და სპორტული კოლექტივების მომზადებაზე საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა მომავალ სპარტაკიადისათვის, რომელიც ლენინგრადში გაიმართება. თუ სპორტის ზოგიერთ სახეობაში წინა სპარტაკიადაზე მოსწავლე სპორტსმენები წარუმატებლად გამოვიდნენ, ახლა, რესპუბლიკაში მიღებული ქმედითი ღონისძიებების შედეგებით, ჩვენ უფლება გვაქვს უფრო მაღალ შედეგებს მოველოდეთ ჩვენი მოსწავლეებისაგან.

აქტივის კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

(საქინფორმი).

სემინარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ხუთ დღეს მუშაობდა საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორების სემინარი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის **შ. სალარიძისა** — „იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად", საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის — **ბ. გიგიბერიასი** — „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანები ახალ ხუთწლედში", საქართველოს სსრ განათლების მინისტრის **თ. ლაშქარაშვილისა** — „სახალხო განათლების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის **ბ. კაციტაძისა** — „იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვის ვერაგული მეთოდები და საბჭოთა ადამიანების სიფხიზლის გაძლიერების ამოცანები", პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგის **ვ. კაჭარავასი** — „რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის **ვ. მელქაძისა** — „სამეურნეო რეფორმა და სამრეწველო საწარმოთა მართვის საკითხები", ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" რედაქტორის **დ. კავაბაძისა** — „სრულვყოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები", საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის **ნ. წერეთლისა** — „ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად", პროფესორ **ვ. ბერიძისა** — „ქართული საბჭოთა ხელოვნება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის", პროფესორ **ვ. უვანისა** — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი", პროფესორ **გ. ბრეგაძისა** — „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება საქართველოს სს რესპუბლიკაში", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **ე. მენაბდისა** — „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა".

სემინარის მონაწილენი გაეცნენ, თუ როგორ არის დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა პარტიის თბილისის რაიკომებში, მოაწყვეს ექსკურსია რესპუბლიკის დედაქალაქში, დაესწრნენ მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების მეგობრობის დღეების დასკვნით საღამოს, რომელიც ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა.

სემინარის ბოლო დღე დაეთმო მუშაობის გამოცდილების გაზიარებას.

(საქინფორმი).

პარტიის ვეტერანის ხსოვნისათვის

ბევრი ძველი ბოლშევიკი მოვიდა სსრ კავშირის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმში. მათ მონაწილეობა მიიღეს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სხდომაში, რომელიც ა. ს. ენუქიძის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა.

ა. ს. ენუქიძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ შესავალი სიტყვა წარმოთქვა ს. მ. მაღონცემა.

აბელ სოფრომის-ძე რევოლუციურ ლიტერატურას გაეცნო 1894 წელს, როცა 17 წლისა იყო. ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი ენუქიძე ასრულებდა პარტიის ყველაზე პასუხსაგებ დავალებებს. მისი მეგობრები იყვნენ გ. კ. ორჯონიკიძე, ი. მ. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, ს. მ. კიროვი და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

სხდომაზე ენუქიძის შესახებ მოგონებანი წაიკითხეს ს. მ. ... და სხვებმა, რომლებიც ენუქიძესთან ერთად მუშაობდნენ.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

დღეს, 1967 წლის 5 ივნისს, ისრაელმა დაიწყო სამხედრო მოქმედება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ და, ამრიგად, ჩაიდინა აგრესია. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ბრძოლებს ეწევიან ისრაელის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

საომარ მოქმედებაში ორივე მხრიდან მონაწილეობენ ტანკების, არტილერიისა და ავიაციის შენაერთები.

სირიის არაბთა რესპუბლიკამ მხარი დაუჭირა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას და შეიარაღებულ დახმარებას უწევს მას აგრესიის მოგერიებაში. იორდანიამ განაცხადა, რომ ისრაელთან ომის მდგომარეობაშია და სამხედრო დახმარებას გაუწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას. ერაყმა, ალჟირმა და არაბთა სხვა სახელმწიფოებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას თავიანთი შეიარაღებული ძალებითა და რესურსებით.

ამრიგად, ერთი ქვეყნის — ისრაელის მმართველთა ავანტიურიზმის გამო, რომელსაც ფარული თუ აშკარა მოქმედებით აქეზებდნენ გარკვეული იმპერიალისტური წრეები, ახლო აღმოსავლეთში დაიწყო სამხედრო კონფლიქტი.

ასეთი საშიში მოქმედების გზაზე ისრაელი დააყენეს ხელმძღვანელებმა, რომლებიც მუდამ აცხადებენ, თითქოს ისინი ბრძოლას ეწევიან ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობისათვის. მაგრამ თუ რაიმეს შეუძლია ყველაზე მეტად შეარყიოს ისრაელის სახელმწიფოს განვითარებისა და თვით არსებობის საფუძვლები, ეს უგუნურებისა და პოლიტიკაში ავანტიურიზმის სწორედ ის გზაა, რომელიც დღეს ისრაელის ხელმძღვანელმა წრეებმა აირჩიეს.

ისრაელის მთავრობამ მეზობელი არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ დაწყებული აგრესიით ფეხქვეშ გათელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები.

ისრაელის მთავრობა ვერ იტყვის, თითქოს ვერ წარმოედგინა, თუ რა გზას ადგებოდა. იგი ვერ იტყვის, თითქოს მისთვის ნათელი არ იყო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ იგი აგრესიულ ომს გააჩაღებდა.

ისრაელის მთავრობამ იცოდა, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. სწორედ ამისათვის მოუწოდებდნენ მას საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები. მაგრამ მან ომის გზა აირჩია. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ავანტიურა, რომელსაც ისრაელმა მიმართა, უწინარეს ყოვლისა მისსავე წინააღმდეგ შეტრიალდება.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს თავის პოლიტიკას — აგრესიის მსხვერპლი ხალხებისადმი დახმარების, კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული სახელმწიფოებისადმი დახმარების პოლიტიკას, აცხადებს, რომ მტკიცედ უჭერს მხარს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, ერაყის, ალჟირის, იორდანიისა და სხვა არაბული სახელმწიფოების მთავრობებსა და ხალხებს და გამოთქვამს რწმენას, რომ წარმატებით დამთავრდება მათი სამართლიანი ბრძოლა თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობა გმობს ისრაელის აგრესიას და მოითხოვს, რომ ისრაელის მთავრობამ სამხედრო კონფლიქტის ლიკვიდაციის მიზნით უწინარეს ყოვლისა დაუყოვნებლივ და უთუოდ შეწყვიტოს საომარი მოქმედება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, იორდანიისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, უკან გაიყვანოს თავისი ჯარები დაზავების ხაზს იქით.

სსრ კავშირის მთავრობა იმედოვნებს, რომ სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის დიდ სახელმწიფოთა მთავრობები, თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ჩააქრონ ომის ხანძარი ახლო აღმოსავლეთში და აღადგინონ მშვიდობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს თავისი პირდაპირი მოვალეობა — დაგმოს ისრაელის მოქმედება და სასწრაფოდ განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღსადგენად.

საბჭოთა მთავრობა უფლებას იტოვებს ვითარების შესაბამისად განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება.

1967 წლის 5 ივნისი.

საერთაშორისო ცხოვრება

ომის ხანძარი ახლო აღმოსავლეთში

□ ისრაელმა დაიწყო ფართო შეტევა □ საჰაერო ბრძოლები სირიასა და ლიბანში □ თავდაცვითს ომს უცხადებენ ისრაელს □ უშიშროების საბჭოს სხდომებზე □ უ ტანის ინფორმაცია □ რვა არაბული ქვეყნის გადაწყვეტილება □ საომარი მოქმედება გრძელდება

კაიროს რადიო იუწყება, რომ დღეს დილით ისრაელის ჯარებმა დაიწყეს ფართო შეტევა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე. ისრაელის ავიაცია თავს დაესხა სამხედრო აეროდრომებს სინას ნახევარკუნძულზე, სუეცის არხის რაიონში, კაიროს სამხედრო აეროდრომს და შარმ ელ-შეიხს.

დღეს ეგვიპტის დედაქალაქში რამდენჯერმე გამოაცხადეს საჰაერო განგაში. საზენიტო არტილერია უშუალოდ ქალაქის მახლობლად მოქმედებს. ცაში სკდება საზენიტო ჭურვები.

კაიროს რადიოს ცნობებით, 15 საათამდე საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით გაანადგურეს ისრაელის 70-მდე თვითმფრინავი. ტყვედ წაასხეს თერთმეტი ისრაელი მფრინავი. ერთ-ერთი მათგანის — ლავო მარდაჰაის ჩვენებანი ჩაწერილია მაგნიტოფონის ფირზე. ამ ფირს წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს როგორც ისრაელის აგრესიის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთს. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ ისრაელის აგრესიულ მოქმედებას აქვს ორი მიზანი: 1. დაარღვიოს ნაოსნობა სუეცის არხში, 2. პროვოკაციულად მიიმხროს რომელიმე მესამე სახელმწიფო, რომ მხარი დაუჭიროს ისრაელის აგრესიას.

(საქდესი, 5 ივნისი).

დამასკო, 5 ივნისი. საქდესის კორესპონდენტი ლ. მედვედკო იუწყება:

დღევანდელი დღის განმავლობაში ისრაელის ავიაციის სამხედრო თვითმფრინავებმა რამდენჯერმე სცადეს შემოჭრილიყვნენ სირიის ტერიტორიაზე და დაებომბათ მთელი რიგი აეროდრომები.

ბეირუთი, 6 ივნისი. (საქდესი). ისრაელის სამხედრო თვითმფრინავები გუშინ ამშუადღევს შეიჭრნენ ლიბანის საჰაერო სივრცეში, იუწყება ბეირუთის რადიო.

ქუვეითი, 6 ივნისი. (საქდესი). პარლამენტის საგანგებო სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 5 ივნისიდან ქუვეითში შემოღებულია სამხედრო წესები. პრემიერ-მინისტრი ჯაბერ ალ-აჰმადი დაინიშნა სამხედრო გუბერნატორად. პარლამენტმა მთავრობას მიანიჭა საგანგებო უფლებამოსილება, რომლის შესაბამისად მას შეუძლია გამოსცეს დეკრეტები, რომლებსაც კანონების ძალა აქვთ. პარლამენტმა მოიწონა აგრეთვე ემირის დეკრეტი; რომელიც აცხადებს, რომ ქუვეითს თავდაცვითი ომი აქვს ისრაელთან.

ლონდონი, 6 ივნისი. (საქდესი). 4 ივნისს ღამით ინგლისის ფელიქსტოუს (სუფოლკის საგრაფო) ნავსადგურიდან გავიდა ისრაელის ხომალდი „მორიამი“, რომელიც დატვირთულია ჯავშნიანი ავტომობილებით, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებითა და საომარი მასალით. ხომალდი გაემართა ისრაელის ნაპირებისაკენ, იუწყება პრეს ასოშიეიშნის სააგენტო.

ინგლისის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა არ მოისურვა გამოეთქვა რაიმე კომენტარი ამის გამო.

ბაღდადი, 6 ივნისი. (საქდესი). ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არეფმა განაცხადა, რომ ერაყს საომარი ურთიერთობა აქვს ისრაელთან და მტრულად მიიჩნევს ყოველ სახელმწიფოს, რომელიც მხარს უჭერს ან ეხმარება ამ ქვეყანას.

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ აქ გაავრცელა საბჭოთა მთავრობის 5 ივნისის განცხადება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შესახებ.

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საქდესი). 11 საათზე მეტი ხნის შესვენების შემდეგ უშიშროების საბჭომ, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციას განიხილავს, გუშინ განაახლა მუშაობა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთით. საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კონსულტაციები საბჭოს წევრებს შორის არ დამთავრებულა და გაგრძელდება დღეს დილით. საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 6 ივნისს დილის 11 საათსა და 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით (18 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით).

კონსულტაციები იმის გამო ჭიანურდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ჯიუტად ცდილობს რეზოლუციის პროექტში, რომელიც მოუწოდებს მხარეებს შეწყვიტონ ცეცხლი, შეატანინოს ფორმულებანი, რომლებიც უფრო ხელსაყრელ მდგომარეობას შეუქმნიდა აგრესორს — ისრაელს.

ნიუ-იორკი (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა უშიშროების საბჭოს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია მან მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების სარდლის გენერალ რიკჰისაგან, ისრაელ-სირიის დაზავების შერეული კომისიის თავმჯდომარისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის დაზავების სამეთვალყურეო ორგანიზაციის უფროსისაგან.

როგორც აღნიშნულია ცნობაში, დილის 11.10 საათზე გრინვიჩის დროით (14 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით) ისრაელის ავიაციამ დაუსრულებლივ დაიწყო თავდასხმა დამასკოს აეროპორტსა და სირიის ტერიტორიის სხვა პუნქტებზე. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს აგრეთვე რადიოსადგური ამანში (იორდანია). ისრაელის ჯარებმა შეუტიეს იორდანიის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც დაიკავეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იერუსალიმის დაზავების სამეთვალყურეო ორგანიზაციის შტაბ-ბინა.

ინფორმაციაში ნათქვამია აგრეთვე, რომ 16 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით (19 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით) ისრაელის ავიაციამ იერიში მიიტანა ვადი ღაზის ხიდზე (ღაზის სამხრეთით). ხიდი დაინგრა. ერთი საათით ადრე ისრაელის ტანკებმა ცეცხლი დაუშინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების რაფის ბანაკს. არის მსხვერპლი ბანაკის პერსონალს შორის.

ამავე დოკუმენტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იუწყება, რომ სროლაა იერუსალიმში და მოითხოვს ღია ქალაქად გამოაცხადონ იერუსალიმი, ისტორიული ძეგლების დაცვის მიზნით.

ბაღდადი, 6 ივნისი. (საქდესი). არაბეთის რვა ნავთობმომპოვებელმა სახელმწიფომ გუშინ განაცხადა, რომ ნავთობს აღარ მიჰყიდიან არც ერთ ქვეყანას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს არაბეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიაში ან დაეხმარება ისრაელს.

საქდესის კაიროელი კორესპონდენტი ალექსანდრე კისლოვი გვატყობინებს:

დღეს დილით ადრე კაიროში კვლავ გაისმა საჰაერო განგაშის სირენები. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში სკდებოდა საზენიტო ჭურვები. განსაკუთრებით ხშირი აფეთქების ხმა ისმოდა რაიონიდან, სადაც მდებარეობს სამხედრო აეროპორტი „ალ-მაზა“, კაიროს საერთაშორისო სამოქალაქო აეროპორტი, აგრეთვე მთავრობის რამდენიმე დაწესებულება.

როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა მთელ ღამეს სინას ნახევარკუნძულზე. ეგვიპტის შეიარაღებული ძალების სარდლობის ცნობებში ხაზგასმულია, რომ გუშინდელი ბრძოლების დროს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა დიდი ზარალი მიაყენეს შვიდი ჯავშანსატანკო და ქვეითი დივიზიის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, რომლებიც ისრაელმა გამოიყენა შეტევის დროს.

წარმატებული თავდაცვითი ბრძოლების შედეგად, ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის ცნობაში, რომელიც გამოქვეყნდა 5 ივნისს, საღამოს, ეგვიპტის ჯავშანსატანკო ძალებმა არა თუ მოიგერიეს ყველა იერიში ელ-კანტილის რაიონში, არამედ თვითონაც გადავიდნენ შეტევაზე.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის უკანასკნელი ცნობების თანახმად, დღეს დილით გააფთრებული სახმელეთო და საჰაერო ბრძოლები დაიწყო სინას ნახევარკუნძულზე აბუ-აგეილისა და ხეირ ლაჰსენის რაიონში, აგრეთვე ღაზის სექტორში.

კაირო, 6 ივნისი. (საქდესი). როგორც კაიროს რადიო იუწყება, ფრონტის ზოგიერთ უბანზე სინას ნახევარკუნძულზე ისრაელის სახმელეთო ძალების იერიშებს არ მოჰყოლია ეგვიპტის თავდაცვის გარღვევა. ისრაელის ჯარებმა დიდი ზარალი ნახეს, განსაკუთრებით ბევრი ტანკი დაკარგეს. არაბთა შეიარაღებულმა ძალებმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს მუკაბარის მთა, რომელიც იერუსალიმს დაჰყურებს.

თელ-ავივი, 6 ივნისი. (საქდესი). ისრაელის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ი. რაბინი და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ხოდი გამოვიდნენ ისრაელის რადიოთი და შეაჯამეს საომარი მოქმედების ზოგიერთი შედეგი. როგორც რაბინმა თქვა, ისრაელის შეიარაღებული ძალები ამჟამად წინ იწევენ სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. ისრაელის ჯარებმა დაიკავეს ხან იუნისი ღაზის რაიონში, კუნტილა, აგრეთვე ალ-არიში, რომელიც მდებარეობს სუეცის არხისაკენ მიმავალ გზაზე. იორდანიის ფრონტზე ისრაელის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ჯენინი, აგრეთვე მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.

ჩრდილოეთში დღეს დილით გრძელდებოდა ბრძოლა სირიის სახმელეთო და ჯავშანსატანკო ნაწილებთან.

ისრაელის სარდლობის უკანასკნელი ცნობით, ისრაელის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ღაზა, რომლის რაიონში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები, აგრეთვე ქალაქ იერუსალიმის იორდანიული ნაწილი.

დამასკო, 6 ივნისი. (საქდესი). სირიის სარდლობის ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, დღეს დილით გაძლიერებული საარტილერიო მომზადების შემდეგ სირიის ჯარებმა დაიწყეს შეტევა მთელ ფრონტზე. ჯარებმა გადალახეს მდინარე იორდანი და მძიმე ბრძოლებით იწევდნენ წინ ისრაელის ტერიტორიის სიღრმეში ტივერიადის ტბის ჩრდილოეთით.

ხულეს ტბის ჩრდილოეთით მოქმედმა ნაწილებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი შაარ იაშუვი. ისრაელის თვითმფრინავები რამდენჯერმე დაესხნენ თავს სირიის მოწინავე პოზიციებსა და ქალაქ კუნეიტრას, მაგრამ საზენიტო არტილერიამ მოიგერია ეს თავდასხმა.

თელ-ავივი, 6 ივნისი (საქდესი). დღეს შუა დღეზე ისრაელის რადიომ გადმოსცა ისრაელის სარდლობის მორიგი ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 6 ივნისის დილიდან ისრაელის შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ გააფთრებულ შეტევით ბრძოლებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ. სირიის ფრონტზე ისრაელის ჯარებმა მოიგერიეს სირიელთა შეტევები ტელ-დანისა და შაარ იაშუვის რაიონებში, ხულეს ტბის ჩრდილოეთით.

ახლო აღმოსავლეთი.

სოლიდარობა საერთო საფრთხის ჟამს

მოგადიშო, 6 ივნისი. (საქდესი). სომალის მთავრობა მზად არის სამხედრო დახმარება გაუწიოს არაბულ ქვეყნებს ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ნათქვამია სომალის მთავრობის სპეციალურ გადაწყვეტილებაში.

ბეირუთი, 6 ივნისი. (საქდესი). „ლიბანს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს მოძმე არაბულ ქვეყნებთან და მზად არის ამ გადამწყვეტ მომენტში ქმედითი წვლილი შეიტანოს არაბთა საერთო ბრძოლაში, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა კარამემ პარლამენტის სხდომაზე, რომელიც დღეს გაიმართა.

რავალპინდი, 6 ივნისი. (საქდესი). პაკისტანის ხალხი და მთავრობა სავსებით უჭერენ მხარს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სხვა არაბულ ქვეყნებს მათი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვაში და ისრაელის აგრესიის მოგერიებაში, განაცხადა დღეს პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირზადამ.

კონაკრი, 6 ივნისი. (საქდესი). გვინეის რესპუბლიკამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელმა საომარი მოქმედება დაიწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ტუნისი, 6 ივნისი. (საქდესი). ტუნისი შეასრულებს ყველა ნაკისრ ვალდებულებას არაბთა ქვეყნების ხალხების მიმართ, განაცხადა რადიოთი და ტელევიზიით ტუნისის პრეზიდენტმა ჰაბიბ ბურგიბამ.

სანა, 6 ივნისი. (საქდესი). გამოქვეყნდა იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის სალალის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ იემენს ომის ურთიერთობა აქვს ისრაელთან. იემენის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო წესები.

ჰარისონის განცხადება

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საქდესი). ჯეკ რუბი — ლი ჰარვი ოსვალდის მკვლელი — მონაწილეობდა შეთქმულებაში პრეზიდენტ ჯონ კენედის მოკვლის მიზნით. ეს განაცხადა ახალი ორლეანის საოლქო პროკურორმა ჯიმ ჰარისონმა.

მან ეს ბრალდება წამოაყენა ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც სასამართლოში წარადგინა ახალორლეანელი მეწარმის კლეი შოუს დამცველთა მოთხოვნების პასუხად. მათ მიაჩნიათ, რომ სასამართლოს უნდა წარედგინოს კონკრეტული სამხილები, რომლებიც გაამართლებდნენ შოუს სასამართლო პასუხისგებაში მიცემას იმ ბრალდებით, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში პრეზიდენტ კენედის მოკვლის მიზნით.

ჰარისონი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტ კენედის მოკვლამდე რამდენიმე კვირით ადრე შოუ შეხვდა ოსვალდისა და ჯეკ რუბის ქალაქ ბატონ-რუჟის სასტუმრო „კაპიტოლ ჰილში“ და მისცა მათ ფული.

საგანგებო წესები სალვადორში

ლონდონი, 6 ივნისი. (საქდესი). სალვადორში საგანგებო წესები გამოცხადდა ჰონდურასის საზღვარზე მომხდარ შეტაკებებთან დაკავშირებით. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სან-სალვადორიდან იუწყება, პრეზიდენტმა ხულიო რივერამ გასცა ბრძანება 5 ათასი ჯარისკაცის მობილიზაციის შესახებ.

ეს ღონისძიება განახორციელეს მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მთავრობის განცხადება, რომ 4 ივნისს ჰონდურასის სამხედრო პატრულმა გადალახა გაურკვევლად დემარკირებული საზღვარი ორივე ქვეყანას შორის და მოკლა ორი გლეხი.

დაიღუპა ამერიკელი კოსმონავტი

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საქდესი). დღეს დილით პატარა ქალაქ პირლენდში (ტეხასის შტატი) საავტომობილო კატასტროფის დროს დაიღუპა ამერიკელი კოსმონავტი ედვარდ ჰივენსი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი, 37 წლის ჰივენსი შარშან შეარჩიეს პილოტირებულ კოსმოსურ ფრენაში მონაწილეობისათვის.

მადლობა მხარდაჭერისათვის

არაბული ქვეყნების მოსკოველ ელჩთა პრეს-კონფერენცია

მოსკოვი, 6 ივნისი. (საქდესი). დღეს ალჟირის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში გაიმართა სსრ კავშირში აკრედიტებული არაბული ქვეყნების დიპლომატიურ მისიათა მეთაურების პრეს-კონფერენცია საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისათვის. მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა ალჟირის ელჩმა სსრ კავშირში ომარ უსედიკმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა პრესა და რადიო სწორად აშუქებენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს.

შემდეგ მაროკოს ელჩმა სსრ კავშირში ელ-ფასიმ მოსკოვში აკრედიტებული არაბული ქვეყნების დიპლომატიური მისიების მეთაურთა სახელით წაიკითხა განცხადება, რომელშიც არაბული ქვეყნები მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხებს არაბთა სამართლიანი საქმის მხარდაჭერისათვის.

იორდანიის, სირიისა და ტუნისის ელჩებმა აზიზულა ზურეიკამ, სალაჰ ედ-დინ ტარაზიმ და ნეჯიდ ბუზირიმ განაცხადეს, რომ არაბული ქვეყნები სოლიდარული არიან ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში მუჰამედ მურად ღალებმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობის განცხადებას ახლო აღმოსავლეთის ამბების გამო და გამოთქვა რწმენა, რომ ეს განცხადება სათანადო შთაბეჭდილებას მოახდენს იმპერიალისტურ წრეებზე.

მაღალი საბრძოლო მზადყოფნა

სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის არმიების საშტაბო წვრთნა

ბერლინი, 5 ივნისი. (საქდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე პოლონეთის ჯარის, საბჭოთა არმიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის საშტაბო და სამეთაურო წვრთნის შესახებ.

„ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ერთობლივ საწვრთნელ ღონისძიებათა ფარგლებში, — ნათქვამია კომუნიკეში, — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში 1967 წლის 27 მაისიდან 5 ივნისამდე მოეწყო პოლონეთის ჯარის, საბჭოთა არმიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის მრავალსაფეხურიანი საშტაბო და სამეთაურო წვრთნა.

წვრთნა მიმდინარეობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის, პოლონეთის მარშალი მარიან სპიხალსკის ხელმძღვანელობით...

წვრთნამ ცხადყო შტაბებისა და სარდლობის მაღალი საბრძოლო მზადყოფნა, აგრეთვე ნაწილებისა და შენაერთების, ჯარების გვარეობათა და სამსახურთა კარგი თანამოქმედება.

მანევრებთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა ჰაინც ჰოფმანმა სადილი გამართა, რომელზეც იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ერიხ ჰონეკერი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, პოლონეთის მარშალი მარიან სპიხალსკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ბოგუმირ ლომსკი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ი. გ. პავლოვსკი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა მ. სპიხალსკი და ბ. ლომსკი და მინისტრის მოადგილე ი. გ. პავლოვსკი დააჯილდოვა ოქროს მედლებით „ძმური თანამებრძოლობისათვის“.

ციებ-ცხელება ინგლისის ბირჟაზე

ლონდონი, 5 ივნისი. (საქდესი). ცნობამ ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების დაწყების შესახებ გამოიწვია გირვანქა სტერლინგისა და მთელი რიგი ნავთობის და სამრეწველო კომპანიების აქციების კურსის დაცემა.

ლონდონის საღამოს გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ მკვეთრად დაეცა „ბრიტიშ პეტროლეუმისა“ და „შელის“ კომპანიების აქციები.

სუეცის არხში ნაოსნობა შეწყდა

კაირო, 6 ივნისი. (საქდესი). როგორც კაიროს რადიომ გადმოსცა, დღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეეჩეროს ნაოსნობა სუეცის არხში.

მეცნიერის სახელოვანი გზა

გიორგი ახვლედიანის იუბილე

80 წელი შეუსრულდა შესანიშნავ მეცნიერსა და პედაგოგს, საბჭოთა ფილოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ გიორგი სარიდანის-ძე ახვლედიანს.

საქართველოს მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის უნივერსიტეტმა დიდი ზეიმით, სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნეს 5 ივნისს გიორგი ახვლედიანის იუბილე. თბილისის უნივერსიტეტის აქტო დარბაზში შეიკრიბნენ უნივერსიტეტის პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოძმე რესპუბლიკებიდან, საქართველოს რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

საღამოზე მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. ფრუიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ლუქბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე დ. ლაშქარაძე.

საღამო გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

მოხსენება გ. ახვლედიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა პროფესორმა ა. გამყრელიძემ.

იუბილარს მხურვალედ მიესალმა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე. მან აღნიშნა გიორგი ახვლედიანის დიდი დამსახურება მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით გ. ახვლედიანს გულითადად მიულოცა იუბილე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ.

თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ — წაიკითხა უნივერსიტეტის კოლექტივის ადრესი, რომელშიც გამოთქმულია დიდი სიყვარული და პატივისცემა იუბილარისადმი.

ჩრდილოეთ ოსეთის მეცნიერთა სახელით გ. ახვლედიანს ჯანმრთელობა უსურვა და მადლობა უძღვნა ა. ხატაიცევამ. მეცნიერს გულითადად მიულოცეს იუბილე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ენის განყოფილების გამგემ დოცენტმა ნ. გაბარაევმა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ი. ხუგაევმა.

იუბილარს გულთბილად მიესალმა ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი კ. ახაბოვი. ინდოლოგმა ე. კლავინშმა ქართულ ენაზე წაიკითხა რიგის უნივერსიტეტის კოლექტივის ადრესი.

მეცნიერს იუბილე მიულოცეს ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების წარმომადგენლებმა — საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მდივანმა ლ. ჩიქოვანმა, სოფელ დერჩის საშუალო სკოლის დირექტორმა შ. კაკიტაძემ, საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ თ. ადეიშვილმა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის, და სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით იუბილარს გულითადად მიესალმნენ გ. ლეჟავა და ნ. ბასილაია.

გ. ახვლედიანს მიესალმნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით ა. ივანიშვილი, ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით — პროფესორი კ. მეძველია, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით — დოცენტი ა. გვენცაძე.

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივის სახელით მეცნიერს იუბილე მიულოცეს ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ა. ურუშაძემ, პროფესორებმა შ. ძიძიგურმა, შ. გაფრინდაშვილმა, პ. კეკელიძემ, თ. მრევლიშვილმა, დოცენტმა გ. რამიშვილმა. მათ იუბილარს უძღვნეს მისი სკულპტურული პორტრეტი.

გულთბილად, აღფრთოვანებით მიესალმა იუბილარს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ა. შანიძე, რომლის დაბადების 80 წლისთავი ახლახან აღნიშნა მეცნიერთა საზოგადოებრიობამ. ძველი ქართული ენის კათედრის სახელით მან გიორგი ახვლედიანს მიულოცა იუბილე და უსურვა ჯანმრთელობა მშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ.

გ. ახვლედიანს იუბილე მიულოცეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. ფანჩვიძემ. თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა დოცენტმა ზ. ჭარხალაშვილმა, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა, პროფესორმა ვ. დონდუამ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა. პროფესორმა მ. ჩიქოვანმა, თეატრმცოდნემ ნ. შვანგირაძემ, პროფესორმა ე. გობრონიძემ და სხვებმა.

პროფესორმა თ. მრევლიშვილმა და ი. მეგრელიძემ წაიკითხეს სსრ კავშირის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თურქმენეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მისალმებანი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თ. ბელინსკაიამ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს მ. კელდიშის, სსრ კავშირის განათლების მინისტრის მ. პროკოფიევის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების ბევრი უცხოელი მეცნიერის მისასალმებელი დეპეშები.

გიორგი ახვლედიანმა მხურვალე მადლობა გადაიხადა მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მაღალი შეფასებისა და დიდი ყურადღებისათვის. (საქდესი).

მსოფლიო ფოტო-ობიექტივში

კანარის კუნძულები. ატლანტის ოკეანეში მდებარე ამ ეგზოტიკურ კუნძულებს ყოველწლიურად უამრავი ტურისტი ეტანება.

ნორდფოტოსა და საქდესის კორესპონდენტის სურათზე (ქვემოთ მარცხნივ) აღბეჭდილია ქუჩის სცენა კანარის კუნძულების ერთ-ერთი ქალაქის ცხოვრებიდან.

— გაჩერების პრობლემა?! ეს ჩვენ არ გვეხება. დაე ავტომობილების მფლობელებმა იტეხონ თავი, თუ სად გააჩერონ თავიანთი მანქანები, — თითქოს ასე ამბობენ ქვაფენილზე განცხრომით ფეხმორთხმული აქლემები. ახლა ისინი ისვენებენ მორიგი ტურისტის მოლოდინში.

აქლემებით მგზავრობა დიდი პოპულარობით სარგებლობს მოგზაურებს შორის.

სასეირო გართობის მოყვარულნი თავიანთი სურვილის დაკმაყოფილებისათვის არ ერიდებიან აქლემების ზურგზე შეუჩვეველი ფრიად არასასიამოვნო რწევასაც კი.

რას არ გააკეთებს კაცის ხელი. ეს ორი ფოტოსურათი მოხერხებული კონდიტერისა და პურისმცხობლის ნახელავზე მოგვითხრობს.

ბარსელონაში (ესპანეთი) ერთ-ერთი საკონდიტრო მაღაზიის ვიტრინაში დგას 1907 წლის მოდელის ავტომანქანა „როლს-როისი“. სად საკონდიტრო და სად ავტომრეწველობაო, — იკითხავთ თქვენ. საქმე ის არის, რომ „როლს-როისი“ დამზადებულია... შოკოლადისაგან. როგორც ხედავთ, რეკლამას უკვე მოუზიდავს მუშტარი, მაღაზიის პატრონსაც ყველაზე მეტად ეს აინტერესებს.

ფრანგმა მეფუნთუშე ანდრე ფურნიემ კი ხუთი საათი მოანდომა ორი უზარმაზარი ფრანგული ბატონის გამოცხობას. თვითეული პურის სიგრძე სამ მეტრს აღემატება. ა. ფურნიე გრენობლის მკვიდრია. ზემო სურათზე თქვენ მას ხედავთ (მარჯვნივ) თავის ნახელავთან.

საქდესის ფოტოქრონიკა.



ყოველი მხრიდან

მთელი მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია ისრაელის აგრესია არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ბევრი გაზეთი ხაზს უსვამს, რომ სამხედრო კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში დაიწყო ისრაელის მმართველთა ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად, რომელსაც აქეზებენ და მხარს უჭერენ იმპერიალისტური წრეები. „იმპერიალისტურ პოლიტიკას, — წერს ვარშავის „ტრიბუნა ლუდუ“, — კვლავ შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში. ამ რაიონში უკვე მრავალი წელია დაძაბულობაა“.

„ტრიბუნა ლუდუ“ ხაზს უსვამს, რომ ვაშინგტონისა და ლონდონის განცხადებანი იმის შესახებ, თითქოს „ნეიტრალიტეტს“ იცავდნენ კონფლიქტში, ვერავის ვერ მოატყუებს.

პრაღის **„რუდე პრავო“** აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთში კრიზისის მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ინტრიგები, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს ამერიკის ნავთობის მონოპოლიათა ინტერესები მსოფლიოს ამ ნავთობით მდიდარ რაიონში.

ამერიკის პრესა, კერძოდ, **„ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“** ცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „ნეიტრალურ“ პოზიციას ადგას ისრაელ-არაბეთის კონფლიქტში, ამავე დროს არ მალავს თავის სიმპათიებს ისრაელისადმი და თავს ესხმის არაბულ ქვეყნებს. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი ბოლდუინი აღნიშნავს, რომ ისრაელი ცდილობს ხელთ იგდოს აკაბის ყურის ნაპირი და გავიდეს სუეცის არხთან. ბოლდუინი დასძენს, რომ ისრაელის არმია უხვად არის აღჭურვილი ამერიკული იარაღით.

უცხოეთის პრესა შეშფოთებული წერს, რომ საშიშ შედეგებს უქადის საყოველთაო მშვიდობას ომი, რომელიც ისრაელმა წამოიწყო. „ეს ომი, რომელიც უფსკრულში გადაჩეხვას უქადის მსოფლიოს, — აცხადებს იუგოსლავიური გაზეთი **„ვეჩერნე ნოვოსტი“**, — რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა შევწყვიტოთ“. პარიზის **„ლუმანიტე“** ხაზს უსვამს: „ახლო აღმოსავლეთში ატეხილი ომი მეტად საშიშ სიტუაციას ქმნის. საჭიროა აღდგენილ იქნეს მშვიდობა მოლაპარაკების გზით ხალხთა დამოუკიდებლობის საფუძველზე“.

საზღვარგარეთის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას იუწყებიან, რომ საბჭოთა მთავრობამ ახალი ნოტა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები ავაზაკურად დაესხნენ თავს თბომავალ „თურქესტანს“ ვიეტნამის კამფის ნავსადგურში.

მასალებში ვიეტნამის ამბების შესახებ აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია განაგრძობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვას. (საქდესი).

ჩვენს არე-მარეში



გვატყობინებენ „კომუნისტისა" და საქდესის კორესპონდენტები

უკვდავია გმირის ხსოვნა

ბარათი ბელორუსიიდან

ჭიათურა. (საკ. კორ.). ზოდელი ჭაბუკი, ჭიათურელი მაღაროელი სერგო ჭიღლაძე მამაცურად ებრძოდა ვერაგ მტერს. იგი უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა და დასაფლავებულია ბელორუსიაში, სვეტლოგორსკის რაიონის სოფელ დუბროვოში. სიკვდილის შემდეგ მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ხოლო მადლიერმა ბელორუსმა ხალხმა ქართველ გმირს ძეგლი აუგო.

გმირის სახელმა დაამეგობრა ბელორუსულ სოფელ დუბროვოსა და ქართულ სოფელ ზოდის მშრომელები. ბელორუსმა მწერლებმა გადაწყვიტეს მხატვრულად ასახონ ქართველი მეომრის ცხოვრება და თავდადება. ამას ნათელყოფს ბელორუსი მწერლის იანკა კუჩარის ბარათი, რომელიც ახლახან მიიღო გმირის დედამ.

პირადად მე დიდი სურვილი მაქვს ბელორუს მკითხველებს ვუამბო თქვენი შვილის შესახებ. მინდა მოვინახულო ის ადგილები, სადაც სერგო დაიბადა, სწავლობდა, მუშაობდა მინდა გნახოთ თქვენ, გმირის დედა რათა ნიშნად ღრმა პატივისცემისა თავი დავხარო თქვენს წინაშე. ამ ზაფხულზე კავკასიაში ყოფნისას უთუოდ ვეცდები გინახულოთ ზოდში. ჯერჯერობით კი გთხოვთ რამდენიმე სტრიქონი მომწეროთ სერგოს ბავშვობის, სწავლისა და მუშაობის შესახებ"...

ამ ბარათმა გაახარა დედის გული. გმირის დედამ საპასუხო წერილი გაუგზავნა ბელორუს მწერალს.

ქვირფასო ოლღა დავითის ასულო!

გაივლის წლები, ათეული წლები, მაგრამ მადლიერი საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის იმ შვილთა სახელებს, რომელნიც წყვილ ფაშიზმთან ბრძოლებში დაიღუპნენ.

ბელორუსიაში ახსოვთ და ამაყობენ თქვენი შვილით, საბჭოთა კავშირის გმირ სერგო ჭიღლაძით. ბელორუსიაში მის უკვდავ თავგანწირვაზე ახლა მოუთხრობენ სკოლებში, კოლმეურნეობებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, სამხედრო ნაწილებში საბჭოთა არმიის მებრძოლები სერგოს მაგალითზე სწავლობენ, თუ როგორ უნდა სამხედრო ფიცის შესრულება. ჩვენს ახალგაზრდებს სურთ ყოველმხრივ დაემსგავსონ სერგოს.

საიუბილეო წლის სიახლენი

⊙ ქუთაისი. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ წულუკიძის ქუჩაზე გახსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი, კეთილმოწყობილი პავილიონი. აქ კვალიფიციური და გამოცდილი ოსტატები აწარმოებენ რადიომიმღებებისა და ტელევიზორების, საათების, ფეხსაცმლის შეკეთებას.

შ. გაგიშვილი.

⊙ გორი. ბამბეულის კომბინატის კლუბში მოეწყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კინორეჟისორ ი. კანდელაკის ლექცია თემაზე „ქართველები ირანსა და თურქეთში".

დასასრულ მსმენელებს უჩვენეს ი. კანდელაკის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმები.

შ. ვარძელაშვილი.

⊙ ორჯონიკიძე. ახლახან აქ გაიხსნა ახალი საკოლმეურნეო ბაზარი, სადაც არის კეთილმოწყობილი სავაჭრო დახლები, ხორცის გასაყიდი დუქანი.

თ. მანჯავიძე.

⊙ რუსთავი. მეტალურგთა დასვენების საუკეთესო კერაა სალამის სანატორიუმი, რომელიც მოთავსებულია მტკვრის პირას. წელს აქ 300-მდე მეტალურგმა დაისვენა. დამსვენებელთათვის შექმნილია საუკეთესო პირობები. მუშები იღებენ თითქმის ყველა სახის სამედიცინო დახმარებას.

ზ. კეთილაძე.

⊙ ტყიბული. ამ დღეებში სოფელ საწირეში საექსპლოატაციოდ გადაეცა საკონდიტრო ნაკეთობათა ახალი საამქრო, რომელიც მაღალხარისხოვან საშაქარლამო პროდუქციას აწვდის სოფლის საზოგადოებრივი კვების ქსელს.

ვ. ცოტაძე.

⊙ ქობულეთი. რუსთაველის ქუჩაზე ახლახან აშენდა მრავალსართულიანი უნივერმაღი. უნივერმაღის ფართო, ნათელი დარბაზები, კარგად გაწყობილი სავაჭრო დახლები იზიდავს მომხმარებლებს.

მ. გიორგაძე.

ა. ს. ჯაფარიძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის მემცენარეობის კათედრის დოცენტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსი სიმონის-ძე ჯაფარიძემ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სიმინდი საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ალექსი სიმონის-ძე ჯაფარიძისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

ცისფერი ალი კასპში

ჩვენი ინფორმაცია

თუ გადავხედავთ საქართველოს რუკას, ძნელია ახლა მოიძებნოს თუნდაც შორეული რაიონი, სადაც არ სარგებლობდნენ ბუნებრივი და თხევადი გაზით. ეს ეფექტური და იაფი საწვავი სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩვენი რესპუბლიკის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამჟამად გაზიფიცირებულია 300 ათასამდე ბინა, რაც ერთ მილიონ მოსახლეობას საშუალებას აძლევს ისარგებლოს ცისფერი ალით. გარდა ამისა, გაზის სათბობზე გადაყვანილია 6.600 კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმო და 430 საქვაბე.

ცნობილია, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს საგურამო-იგოეთის მომავალი გაზსადენის პირველი რიგი ქ. კასპის განშტოებით.

„კომუნისტის" კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსს გ. ბარძიმაშვილს და სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა ამისათვის. აი რა განაცხადა მან:

— ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის გამტარუნარიანობის ზრდასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა ქუთაისამდე, რაც საშუალებას მოგვცემს ბუნებრივი გაზი მივაწოდოთ — კასპს, გორს, აგარას, ხაშურს, სურამს, ზესტაფონს, ჭიათურას, წყალტუბოსა და ბორჯომს.

აქამდე თბილისისა და რუსთავის ყველა საწარმო სარგებლობდა ბუნებრივი გაზით, რაც დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ამჟამად ჩვენ ვზეიმობთ შემოქმედებითი შრომის კიდევ ერთ შესანიშნავ ნაყოფს. დღეს საექსპლოატაციოდ გადაეცა გაზსადენის ძირითადი მაგისტრალის ახალი განშტოება — საგურამო — კასპი. ამ მოვლენას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართლისა და დასავლეთ საქართველოს შემდგომი გაზიფიკაციისათვის. დიდი იქნება ეკონომიური ეფექტი ამ რამდენიმე ათეულ კილომეტრზე გადაჭიმული გაზსადენისა, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკებს შრომით საქმიანობაში, პირადი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

ეს გვახარებს, ამ სიხარულს ჩვენთან ერთად იზიარებენ კასპის მშრომელები, რომელთა ბინებში აინთო ბუნებრივი ცისფერი ალი. ამ მოვლენით განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან კასპელი მეცემენტეები. იაფი სათბობი საწარმოს დაუზოგავს დიდ ფულად სახსრებს, აამაღლებს წარმოების კულტურას და ხელს შეუწყობს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ფაქტიც — ქალაქი სამუდამოდ გაიწმინდება ჭვარტლისაგან, საგრძნობლად შემცირდება ხე-ტყის, როგორც საწვავის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს ტყეების გაშენებასა და გამრავლებას.

გაზის მრეწველობის მუშაკები ამ ახალ გამარჯვებას დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს უძღვნიან. და აი ამ საზეიმო წუთს არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ ვახსენოთ მშენებლების, იმ კოლექტივების სახელი, რომლებმაც ცოდნისა და ძალის დაუზოგავად იშრომეს, რათა დანიშნულ ვადაზე საექსპლოატაციოდ გადაეცათ გაზსადენის ეს განშტოება.

მაგისტრალური გაზსადენის ჩაწყობა-დამონტაჟებაში თავი ისახელეს როსტოვის ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის" მუშაკებმა, „სოიუზლიფტის" სამმართველოს განყოფილებების მემონტაჟეებმა (უფროსი ვ. კუკულავა), „მოსტოსტროის" სამმართველოს (უფროსი ა. ცქიტიშვილი) კოლექტივმა, რომელმაც წარმატებით განახორციელა ერთ-ერთი რთული ტრასის გადაყვანა მდინარეზე. ასევე წარმატებით შრომობდნენ „მთავარგაზის" სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი ჯ. დუმბაძე) და სამრეწველო გაზის კანტორის (უფროსი ნ. ახობაძე) მუშაკები.

გაისად გაზის სათბობს მიიღებენ ქალაქების გორის, ხაშურის, დაბა სურამის სამრეწველო საწარმოები და მცხოვრებლები.

ბათუმი, სანაპიროზე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შეხვედრა თელავის თეატრთან

სპექტაკლები და შთაბეჭდილებები

თელავიდან სოფელ ფშაველამდე სამოცი კილომეტრი მაინც იქნება. თელავის თეატრის ავტობუსით მივდივართ ფშაველასაკენ. მანქანაში სამი მსახიობია, ორი სცენის მუშა, ტექნიკური რეჟისორი, ადმინისტრატორი, მოლარე, კონტროლიორი, გარდერობის გამგე და მოკარნახე. ერთი მე ვარ მათ შორის უცხო. შეფარვით მიცქერიან. თანამგზავრთაგან მხოლოდ ორს ვიცნობ: ადმინისტრატორს გურამ გავაშელაშვილს და ტექნიკურ რეჟისორს კახი ქემაშვილს. ისინიც ორი დღეა გავიცანი.

გაზაფხულის შესანიშნავი დღე იწურება. შორიდან დაღესტნის თეთრნაბადა მთები თავს დაგვყურებენ, ალაზნის ველი თვალისმომჭრელად ბიბინებს. თანამგზავრები თავაზიანად მიხსნიან: აგერ, შორს, თეთრი გედივით რომ აღმართულა, ალავერდის ცნობილი ტაძარია, ეს კი მდინარე ალაზანი. აგერ, ცოტა ხნით გრემის ციხე-კოშკმაც გამოჰყო თავი, იქით ნაფარეულის ზვრებია.

მასპინძლებს ვუსმენ და არაფერს ვამბობ, რომ მრავალჯერ მომივლია კახეთის ეს დალოცვილი მხარე, საათობით მიბოდია ალავერდისა თუ გრემის კედლებზე, დიდხანს მინებივრია ალაზნის ტალღებში და არასოდეს არ დავღლილვარ ამ ღვთიური ბუნების ცქერით.

ეს ერთი ხანია თელავში ვარ. განზრახული მაქვს თელავის სერგო ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შესახებ მიმოხილვა დავწერო.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ თელავის თეატრს მდიდარი წარსული აქვს. თელავში, ერეკლე მეფის სასახლეში ხშირად იდგმებოდა სხვადასხვა ხასიათის წარმოდგენები, კორნელისა თუ სუმაროკოვის ტრაგედიები და სასახლის ამალა თავს ირთობდა ამ სანახაობით. ისტორიას არ შემოუნახავს ერეკლე მეფის თეატრის მსახიობთა გვარები. მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი კრწანისის ომში მამაცური სიკვდილით დაცემულან...

1866 წელს თელავის სცენის მოყვარულებს გიორგი ერისთავის „გაყრა" და ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში" დაუდგამთ. გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში თელავის ხშირი სტუმრები ყოფილან ქართული თეატრის კორიფეები: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, ვალერიან გუნია, ნუცა ჩხეიძე...

მუდმივი პროფესიული დასი კი 1924 წელს ჩამოყალიბებულა, როდესაც ქართული საბჭოთა თეატრის დიდ რეფორმატორს კოტე მარჯანიშვილს თელავში რუსთაველის თეატრის შესანიშნავი სპექტაკლი „ცხვრის წყარო" ჩაუტანია... იმ დღიდან არც ერთი სეზონი არ ყოფილა, თელავს პროფესიონალ მსახიობთა დასი რომ არ ჰყოლოდა. მაშასადამე, გამოდის, რომ, თუ ერეკლე მეფის თეატრს ჩავთვლით, თელავის თეატრს რახანია 150 წელზე მეტი შესრულებია, თუ გ. ერისთავის კომედიის დღიდან გამოვთვლით, 100 წლისთავიც გასულია, და თუ საბჭოთა პერიოდს ავიღებთ, მისი დაარსებიდან 40 წელზე მეტი დრო გასულა.

საბჭოთა პერიოდში თელავის თეატრში სხვადასხვა დროს უმოღვაწიათ: ქართული სცენისა და კინოს დიდოსტატს სერგო ზაქარიაძეს, ნიჭიერ მსახიობებს: ვარლამ ჩხიკვაძეს, ბუხუტი ზაქარიაძეს, კაპიტონ აბესაძეს, ლეო ჭედიას, ნიკოლოზ ხორავას... თელავის თეატრის სცენაზე შესანიშნავი სპექტაკლები დაუდგამთ ცნობილ რეჟისორებს: ვახტანგ გარიკს, ვახტანგ აბაშიძეს, გრიგოლ სულიაშვილს, ალექსანდრე მიქელაძეს.

პირველად ქართულ სცენაზე სწორედ თელავში დაიდგა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი". რეჟისორ ა. მიქელაძის მიერ დადგმულმა ლევან გოთუას „მეფე ერეკლემ" ერთ სეზონში ასზე მეტ წარმოდგენას გაუძლო და არ ყოფილა შემთხვევა მაყურებელთა დარბაზში ერთი სკამიც ყოფილიყო თავისუფალი! ასეთი რამ დედაქალაქის თეატრსაც კი „გაუჭირდებოდა". „მეფე ერეკლეს" სანახავად მთებიდან ცხენებით ჩამოდიოდნენ თუშები, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სიმღერით ჩაუვლიდნენ ხოლმე ერეკლე მეორის სასახლეს და აღფრთოვანებულნი მიეშურებოდნენ თავიანთ მაღალმთიანი სოფლებისაკენ.

თელავის თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობა მიუღიათ სცენის გამოჩენილ ოსტატებს ვერიკო ანჯაფარიძესა და მიხეილ ჯღენტს.

მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიაა. საინტერესოა, დღეს რას წარმოადგენს თელავის თეატრი?

იგი საქართველოს რაიონებს შორის ერთ-ერთი ძლიერი თეატრალური კოლექტივია. ისეთი ნიჭიერი მსახიობების ერთ დასში ყოფნა, როგორიც არიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თინათინ ბურბუთაშვილი, პლატონ ახვლედიანი, ალექსი კუპატაძე, ვახტანგ ჩელთისპირელი, გიორგი მამუჩიშვილი, ბევრის მეტყველია. მაია წყნეთელის როლის ბევრი შემსრულებელი მინახავს და არა მგონია თ. ბურბუთაშვილის მაია რომელიმე მათგანს რაიმეთი ჩამორჩებოდეს.

თელავის თეატრი უკვე შეუდგა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებას. ამ თარიღისადმი მიუძღვნიათ მიმდინარე სეზონში დადგმული ორი სპექტაკლი: შალვა დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი" და ვალერიან კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნები". თეატრის კოლექტივს ძალიან უნდოდა აკაკი გეწაძის პრემირებული პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში" დაედგა, მაგრამ კულტურის სამინისტროს რატომღაც ამ პიესის დადგმის ნებართვა არ მიუცია იმ საბაბით, რომ ა. გეწაძის ახალი პიესის პირველი დადგმის უფლება თბილისის მარჯანიშვილის თეატრს აქვსო. არა მგონია რაიმეთი შეაფერხებდა მარჯანიშვილის ძლიერ კოლექტივს ის ამბავი, რომ მასზე ერთი თუ ორი თვით ადრე თელაველებს დაედგათ ა. გეწაძის პიესა, რომელიც დასს აგრერიგად მოსწონებია.

თელავის თეატრმა ამჟამად ორი ახალი სპექტაკლი უჩვენა: ა. სამსონიას „ძველი ქოლგა" და რ. კაჟაიძის „სასჯელის უმაღლესი ზომა". ორივე ახალგაზრდა რეჟისორებმა დადგეს. პირველი ნოდარ იონათამიშვილმა და მეორე — დავით კობახიძემ. ეს უკანასკნელი ახლად წვერაშლილი ჭაბუკია, მაგრამ უნდა გენახათ, როგორი გულისყურით უსმენდნენ და უჯერებდნენ მას მსახიობები, რომლებიც ახალგაზრდა ჭკვიან რეჟისორს პაპებად თუ არა, მამებად მაინც ერგება. თელავის თეატრის მთავარი რეჟისორი ლერი პაქსაშვილი სევასტოპოლში მარიკა ბარათაშვილის „ქრიჭინას" დგამს. აი როგორი ძალები ჰყავს ამჟამად თელავის თეატრს.

მაგრამ ერთი ჩრდილოვანი მხარე უნდა აღვნიშნო. თელავის თეატრმა მაყურებელს ე. გელოვანის პიესა „ალარ გაიმეორებს" უჩვენა. სუსტმა პიესამ, მისმა მდარე ხარისხმა, არადამაჯერებლობამ, მოჯონილმა, ყალბმა სიტუაციებმა ნიჭიერ მსახიობებს საშუალება არ მისცა თავიანთი თავი ეჩვენებინათ. აბა რა ქნან მსახიობებმა, როდესაც არ იციან სცენაზე რატომ დგანან, ან რატომ დადიან, ან რად გადიან, ან კვლავ რად შემოდიან. ამიხსნეს, სპექტაკლი ბავშვებისათვის არის განკუთვნილიო. ვანა ბავშვებს იმდენი გემოვნება არა აქვთ, რომ სუროგატი სინამდვილისაგან გაარჩიონ. და თუ ვერ გაარჩიეს, ეს კიდევ უარესი თეატრის მესვეურთათვის, რომლებიც ასე ამახინჯებენ ნორჩთა ჯერ კიდევ დაუდგენელ გემოვნებას.

და აი თელაველთა სპექტაკლის სანახავად ფშაველაში მივდივარ. თელავის თეატრს ბევრი გასვლითი სპექტაკლი აქვს დაგეგმილი. ამისათვის ორი ახალი ავტობუსიც მოეპოვებათ და ერთი საბარგო მანქანა. დღესაც გასვლითი სპექტაკლია, სადაც მხოლოდ სამი მსახიობი მონაწილეობს. სხვები სტაციონარში რეპეტიციებს გადიან.

ჯერ კიდევ არ დაბინდებულიყო. ფშაველაში რომ ჩავედით. ფშაველებს ცუდი კლუბი როდი ჰქონიათ, რომელიც მალე კოლმეურნე გამრჯე გლეხებითა და ადგილობრივი ინტელიგენციით გაივსო.

ჩემს გვერდით საშუალო ხნის კაცი ზის. გამოველაპარაკე. მევენახეობის ბრიგადირი შოთა წიქაძე აღმოჩნდა. ახლადგაცნობილთან საუბარი გავაბი. ამ ბარისა ვოქვით, იმ ბარისა... თელავის თეატრი ძალიან მოსწონს, ამას წინათ „მელა და ყურძენი" უნახავს, კარგიაო, ამბობს, მაგრამ ქართული პიესები ასეთი კარგი რატომღაც არ არისო.

დაიწყო სპექტაკლი, დასავლეთგერმანელი დრამატურგის კარლ ვიტლინგერის ტრაგიკომედია „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი", რომელიც კარგი ქართულით უთარგმნია აკაკი გეწაძეს.

პროგრამაში ჩავიხედე. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გიორგი პაპოშვილი ხუთ როლს ასრულებს, ახალგაზრდა მსახიობი მერი ჩხეიძე ასევე ხუთ როლს და მსახიობი გარი მანველოვი — პანს კიფერს. არ გეგონოთ, მსახიობთა სიმცირით არის გამოწვეული, რომ ერთი ამდენ როლს ასრულებს. ეს ავტორსა აქვს ასე ჩაფიქრებული.

ავტორი შესანიშნავ მასალას აძლევს მსახიობებს თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოსავლინებლად. თელაველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გამიტაცა მათ მიერ ოსტატურად შესრულებულმა სახეებმა, გემოვნებითა და დახვეწილობით დადგმულმა სცენებმა (დამდგმელი რეჟისორი ენვერ ჭაიძე). დამავიწყდა, თუ სად ვიმყოფებოდი... არც იმან იქონია გავლენა, რომ სინათლე სცენას ისე არ ანათებდა, როგორც ეს მხატვარს ჰქონდა ალბათ განზრახული, რომ ბოლო სამი სურათის დროს თოკი ერთმანეთს გადაება და იძულებული გახდნენ ფარდა ხელით გაეღოთ, არც იმან, ერთიორჯერ ნამძინარევი ჩვილი ბავშვი ხმამაღლა ატირდა. სცენაზე იყო შესანიშნავი კოლექტივი, პროფესიული მსახიობთა ნიჭიერი სამეული, რომელმაც მოხიბლა მაყურებელი, აღაფრთოვანა იგი, ატირა და აცინა...

ღამით გვიან დავბრუნდით თელავში. თუ იქითობას მე ვდუმდი და მასპინძლები ლაპარაკობდნენ, ახლა მე ვლაპარაკობდი და მასპინძლები მისმენდნენ. მე მათ გულწრფელად გადავუხადე მადლობა იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მათმა ოსტატობამ მომანიჭა. ჭეშმარიტად, ამ პატარა სპექტაკლშიც იგრძნობოდა ის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელმაც თელავის თეატრი რაიონულ თეატრებს შორის მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

გივი გოგიჩაიშვილი.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი". მარცხნიდან — მ. ჩხეიძე, გ. პაპოშვილი, გ. მანველოვი.

ფოტო ა. ბროდსკისა.

საჭადრაკო ტურნირები

ლენინგრადი

ლენინგრადის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე 12 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

დოდა ბრძოლის განუახლებლად დანებდა ხიმენესს. კორჩნოიმ მოუგო ვლადიმიროვს და ყაიმით დაამთავრა პარტია ბარცასთან. ხოლმოვმა დაამარცხა ხიმენესი, გუფელდმა — უდოვჩიჩი. ტრინგოვი და უდოვჩიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ.

კიევი

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი კიევში ფინიშს უახლოვდება.

მეთერთმეტე ტურში ა. ნიკოლაუმ ვ. ასენოვას წინააღმდეგ დებიუტში შეძლო პაიკის მოგება, მაგრამ უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და იძულებული იყო ყაიმს დასჯერებოდა. ვ. კოზლოვსკაია და ნ. გაფრინდაშვილი თავიდან აგრესიული ბრძოლისათვის იყვნენ განწყობილნი, მაგრამ შემდეგ რატომღაც გაამარტივეს პოზიცია და ყაიმზე შეთანხმდნენ.

ნ. მედიანიკოვამ დაამარცხა ლ. უიკოვიჩი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. მეთერთმეტე ტურში ნ. ალექსანდრია ისვენებდა.

თერთმეტი ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 10-დან 8 ქულა აქვს.

სიახლე ფეხბურთის წესებში

შეცვლა ნებადართულია

ბონი, 6 ივნისი. (საქდესი). ბევრი ეროვნული ფედერაციის დაჟინებული თხოვნით, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა, რომლის სხდომები მიუნხენში იმართებოდა, ბოლოს და ბოლოს, ნება დართო ფეხბურთელთა ოლიმპიურ ასპარეზობასა და მსოფლიო ჩემპიონატებში მთელი მატჩის მანძილზე შეიცვალოს მეკარე და მეორე ტაიმის დაწყებამდე — ერთი მინდვრის მოთამაშე (თუ ამ მოთამაშეებს ტრავმა მოუვათ).

მომავალი ოლიმპიური ასპარეზობის ფინალური საფეხბურთო ტურნირი გაიმართება ისევე, როგორც ტოკიოში. თექვსმეტივე გუნდი, რომლებმაც უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ ფინალურ შეჯიბრებაში, დაიყოფა ოთხ ჯგუფად. მატჩები გაიმართება 1968 წლის 13-26 ოქტომბერს მეხიკოში, პუებლოში, გვადალახარსა და ლეონეში. სხდომის დროს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა სტენლი როუზმა განაცხადა, რომ ალბანეთმა უკან წაიღო განაცხადი ოლიმპიური ტურნირის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობის შესახებ. (ამიტომ ახლა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდი 28 ივლისს შინ, 4 აგვისტოს კი სტუმრად გამართავს მატჩებს პოლონეთის ნაკრებ გუნდთან).

ცვლილებანი არ მოხდება 1970 წლის მსოფლიოს პირველობის გათამაშებაშიც. ფინალურ ასპარეზობათა საორიენტაციო ვადაა 31 მაისიდან 12 ივნისამდე. წინასწარი შეხვედრები გაიმართება 1968 წლის 1 აპრილიდან 1969 წლის 31 დეკემბრამდე.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი წევრი გახდა ბაგამის კუნძულების ფედერაცია. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ამჟამად არის 138 ქვეყანა.

ჩემპიონებმა კვლავ წააგეს

მონტევიდეო, 6 ივნისი. (საქდესი). მსოფლიოს ჩემპიონებმა კალათბურთში ბრაზილიელებმა მეორედ წააგეს მიმდინარე პირველობაზე. გუშინ დამსწრე თამაშში მათ წააგეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან იუგოსლავიის ნაკრებთან ანგარიშით 84:87. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა ადვილად დაამარცხა არგენტინელები ანგარიშით 96:61.

დღეს, როცა მოსკოვში შუაღამეს გადაცილებული იქნება, გაიმართება ცენტრალური მატჩი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის.

ნიკოლაუ ასახელებს პრეტენდენტებს

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტს გ. გამრეკელი კიევში ეწვია მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტს, საერთაშორისო ოსტატ ა. ნიკოლაუს (რუმინეთი) და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

როგორია თქვენი გეგმები მიმდინარე შეჯიბრებაზე?

ამ ტურნირს მე ვუყურებ, როგორც საწვრთნელ შეჯიბრებას პრეტენდენტთა დიდი ასპარეზობის წინ. ისევე როგორც ბევერვეიკსა და ბელგრადში, შევეცდები დავიკავო ერთ-ერთი საპრიზო ადგილი. როგორც მოგეხსენებათ, ახლა მოსკოვში საუცხოოდ თამაშობს რუმინეთის ახალგაზრდა ჩემპიონი ფ. გეორგიუ. ჩემი სურვილია, არ ჩამოვრჩე მას.

კიევის ტურნირის შემდეგ სად აპირებთ გამოსვლას პრეტენდენტთა ტურნირამდე?

ჩვენ ქ. ბრაშოვში ივლისში ვაწყობთ ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირს ფიდეს მეურვეობით. გვინდა რაც შეიძლება ძლიერ შემადგენლობას მოვეუყაროთ თავი, მაგრამ როგორც კიევში შევიტყე, ამ ასპარეზობაში ვერ გამოვლენ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია. ივლისში ნ. გაფრინდაშვილი ქ. მონრეალში მიემგზავრება საერთაშორისო გამოფენაზე, ხოლო შემდეგ უნდა ჩაებას საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ დიდ საჭადრაკო შეჯიბრებაში. ნ. ალექსანდრიასაც სპარტაკიადისათვის მზადება არ მისცემს ამ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობას. ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის ვინ ითამაშებს საბჭოთა კავშირიდან ქ. ბრაშოვში.

რომელ პარტიას გამოყოფდით ჯერჯერობით გათამაშებულთაგან?

ჩემზე პირადად დიდი შთაბეჭდილება დატოვა ნ. ალექსანდრიას გამარჯვებამ ლ. უიკოვიჩთან. საფინალო იერიში ნანამ უაღრესად ეფექტურად წარმართა. პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ასეთ ლამაზ პარტიას იშვიათად შევხვდებით ქალთა ასპარეზობებში. აქ გხლავთ ყველაფერი — შეწირვების კასკადი, ენერგია, მახვილი სწრაფვა. ნ. ალექსანდრიას დიდი შესაძლებლობა აქვს მიიღოს გაზეთ „ვეჩერნი კიევის" პრიზი ტურნირის ყველაზე ლამაზი პარტიისათვის.

დავვისახელეთ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ხუთეული.

დღეისათვის მსოფლიოს № 1 მოჭადრაკე ქალი უდავოდ ნ. გაფრინდაშვილია. რაც შეეხება კიდევ ოთხ მოჭადრაკეს, უმჯობესია მათ შესახებ პრეტენდენტთა ტურნირის შემდეგ ვილაპარაკოთ.

ვინ მიგაჩნიათ კიევში საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად?

გაფრინდაშვილი, ალექსანდრია. შესაძლოა კოზლოვსკაია და ზვორიკინა. რაც შეეხება დღევანდელს ჩემს სატურნირო მდგომარეობას, იგი სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმაჩნია.

სპორტული ქრონიკა

⊙ პარიზში დამთავრდა ველორბოლა გაზეთ „ლუმანიტეს" პრიზზე. ასპარეზობაზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ საბჭოთა სპორტსმენები. უკანასკნელ ეტაპზე ყველას ძლია გ. საიდხუჟინმა (სსრ კავშირი). მან 160 კილომეტრი გაიარა 4 საათში, წუთსა და 9 წამში და პირველი ადგილი დაიკავა.

⊙ ივან ფრანკოში გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეოთხე ეტაპი მოტობოლში 500 კუბური სანტიმეტრის მანქანებით. წარმატება ხვდა რიგელ მოტომბოლს, გ. დოუგსს. მან ერთი ეტაპით აღემატა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს...

⊙ საქართველოს პირველობის გათამაშებაში მონაწილე გუნდებმა უკვე რაოდენობა ჩატარებული აქვს 16-16 მატჩი. ლიდერია ზესტაფონის „მეტალურგი", რომელსაც 25 ქულა აქვს. ლიდერს სამ-სამი ქულით ჩამორჩებიან ყვარლის „დურუჯი" და საჩხერის „ლოკომოტივი". 21-21 ქულა აქვს მახარაძის „მერცხალს". 20-20 ქულა — წალენჯიხის „კოლმეურნესა" და თბილისის „სინათლეს".

ჩა ვცხოთ, ჩა მოვისმინოთ

ტელევიზია

7 ივნისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ტანკერი დერბენტი", 19.20 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — სატელევიზიო გადაცემების ანონსი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „საქართველოს სოფლის მეურნეობის წარსულიდან", 19.50 — განცხადებები, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა „ქართული სპორტის ისტორიიდან", 20.45 — კინონარკვევი, 20.55 — ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზები" (პირველი დადგმის 75 წლისთავის გამო), 21.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — მხატვრული ფილმი „კოტოვსკი".

8 ივნისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექცია ქიმიაში, 10.40 — მხატვრული ფილმი „იმათ მხოლოდ სახით იცნობდნენ", 12.10 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — სატელევიზიო ჟურნალი ოქტომბრელთათვის „ეზოლა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „პიონერული ახალი ამბები", 18.10 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ჩვენ ინგლისურად ვლაპარაკობთ" (სტუდიაში — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები), 18.40 — საქართველოს კვირეულის გახსნა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — გადაცემა „ქართული სიმღერის ოსტატი სოფიო ჭოლოკავა", 19.50 — განცხადებები, 19.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.15 — მხატვრული ფილმი „უფროსი და", 21.55 — გადაცემათა პროგრამა 9 ივნისისათვის, 22.00 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — საქართველოს ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

7 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-კიხოტი. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მომავალ შეხვედრამდე. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი შვილი ძმა. მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნუცას შევარდენი (№ 31, 55 და 59 აბონ. სალ. 6 ს.).

კინო

7 ივნისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), ეკრანი — ლტოლვილი, კოლხიდა (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი, ფილარმონიის ბაღი — ორი ბილეთი დღის სეანსზე, ისანი (საზამთრო), სპარტაკი — ბრძოლის გზები, ისანი (საზაფხულო) — ედგარი და კრისტინე, ვაკის პარკი — ორი წელი უფსკრულის პირას.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი

აცხადებს 1967/68 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

სავუნდო-სადირიჟორო, თეატრალურ, ქორეოგრაფიულ, ქართულ, საესტრადო, ხალხური საკრავების და თოჯინების თეატრის განყოფილებაზე.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ საშუალო ან არასრული საშუალო განათლება.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ: 1. სპეციალობაში, 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი).

სასწავლებელში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი და ის პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. დახასიათება-რეკომენდაცია საშუალო სპეციალურ სასწავლებელში წარსადგენად, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების მიერ, ხოლო კოლმეურნეებმა უნდა წარმოადგინონ ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, 4. ავტობიოგრაფია, 5. დაბადების მოწმობა (ასლი), 6. სამხედრო ბილეთი (სათადარიგო ვალდებულებისათვის), მიწერის მოწმობა საბჭოთა არმიაში წვევამდელებმა უნდა წარმოადგინონ პირადად, 7. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ), 8. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 280), 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განცხადებები მიიღება 1967 წლის 1 ივნისიდან 30 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 5 აგვისტოდან, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და 6 თვე. სწავლა ქართულ ენაზეა.

სასწავლებელი ამზადებს მომღერალთა გუნდის და ხალხური საკრავების ორკესტრის დირიჟორებს, ესტრადის მსახიობებს, ქორეოგრაფებს, რეჟისორებს, თოჯინების თეატრის კოლექტივების ხელმძღვანელებს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, კლარა ცეტკინის ქ. 200, ტელეფონები: 5-30-69, 5-70-82.

რედაქტორი დ. მჟავლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.